პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოის ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 17 (11021)
ოთხშაბათი
22
იანვარი
1958 წ.

ფასი 20 კაპ.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი კვლავაც თავდადებით იბრძოლებენ სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოების გადიდებისათვის და თავის ღირსეულ წვლილს შეიტანენ მოსახლეობისათვის სურსათისა და მსუბუქი მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის მიღწევაში.**

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა

## კოლმეურნეებისადმი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისადმი, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისადმი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და ყველა მუშაკისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ შეაჯამონ სოფლის მეურნეობის 1957 წლის წინასწარი შედეგები იმისათვის, რომ, ეცოდინებათ რა ეს შედეგები, კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებმა, პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა შეძლონ სწორად შეაფასონ თავიანთი მუშაობის შედეგები, გამოავლინონ გამოუყენებელი რეზერვები სოფლის მეურნეობაში, წინასწარ დასახონ ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის 1958 წელს.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის 1957 წელი ძნელი წელი იყო. მნიშვნელოვან ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ვოლგისპირეთის, სამხრეთ ურალისა და ყაზახეთის რაიონებში მძიმე პირობები შეიქმნა ხანგრძლივი გვალვის გამო. ქვემო და შუა ვოლგისპირეთის რაიონებში გვალვა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ცნობილ გასამახსოვრებელ 1921 წელს. მიუხედავად ამისა, გასულ წელს კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის თავდადებული შრომის მეოხებით ჩვენი ქვეყანა უზრუნველყოფილ იქნა საკმაო რაოდენობის მარცვლეულითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, დამზადდა დაახლოებით იმდენივე პური, რამდენიც 1955 წელს. 1953 წელთან შედარებით პური დამზადებულია 18 პროცენტით, ხოლო ხორბალი 41 პროცენტით მეტი.

მარცვლეული კულტურების კარგი მოსავალია მიღებული დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირის ოლქებსა და მხარეებში, ჩრდილოეთ კავკასიაში, უკრაინაში, მოლდავეთში, ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ და მთელ რიგ სხვა რაიონებში. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მთლიანად მოიმარაგეს საჭირო თესლი და წარსულ წლებზე მეტი აქვთ კონცენტრირებული, წვნიანი და უხეში საკვები. ეს ერთხელ კიდევ ცხადყოფს საკოლმეურნეო წყობილების ძალასა და ძლიერებას, მეურნეობის სოციალისტური სისტემის უდავო უპირატესობებს, ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ სწორია ჩვენი პარტიის პოლიტიკა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების დარგში. იმ პირობებშიც კი, როცა ვოლგისპირეთის, ყაზახეთისა და ურალის ყამირის რაიონებში გვალვა იყო, პურის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენს ქვეყანაში მიღებულია ყამირი და ნასვენი მიწებიდან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აგრეთვე საჭიროდ მიაჩნიათ აღნიშნონ, რომ მარცვლეულის მოსავლის გადიდებას ხელი შეუწყო მოსავლის ცალცალკე აღების წესის ფართოდ დანერგვამ. 1957 წელს მოსავლის აღების ეს წესი გამოყენებულ იქნა ბევრ რესპუბლიკაში და დანიშნულება გაამართლა. განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული ეს წესი რუსეთის ფედერაციის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც ცალცალკე აღებულ იქნა მარცვლეული კულტურების ნათესთა თითქმის ნახევარი. ცალცალკე აღება ფართოდ განხორციელდა ციმბირში. მაგალითად, კრასნოიარსკის მხარეში ცალცალკე აიღეს პურეულის 72 პროცენტი. ამ წესმა შესაძლებლობა მისცა მხარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოსავლის აღება დაეწყოთ 10 დღით ადრე, ვიდრე ეს შეიძლებოდა პირდაპირი კომბაინირების პირობებში, და მკვეთრად შეემცირებინათ მოსავლის აღების სამუშაოთა ვადები. ამის მეოხებით მოსავალი დაცულ იქნა შემოდგომის ჭირხლისაგან და აღებულია დამატებით მილიონობით ფუთი პური.

1957 წელს დიდი წარმატებანი მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის მეჭარხლეებმა. 1956 წელთან შედარებით შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობი გაიზარდა 100,2 ათასი ჰექტარით, ხოლო ჭარხლის მოსავალი გადიდდა 15 პროცენტით.

ყველა წინა წელთან შედარებით 1957 წელს ჭარხლის მთლიანი მოსავალი მაქსიმალური იყო. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 69 მილიონი ცენტნერით მეტი ჭარხლის მოსავალი მოიწიეს, ვიდრე 1956 წელს. ეს საშუალებას მოგვცემს გამოვიმუშაოთ 1,2 მილიონი ტონით მეტი შაქარი, ვიდრე 1956-1957 წელს. ასეთი რაოდენობის შაქარი ჩვენს ქვეყანას ჯერ არასოდეს არ უწარმოებია. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს უკრაინის სსრ მეჭარხლეებმა, რომლებმაც საშუალოდ რესპუბლიკაში 1.277 ათასი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიწიეს 210 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ხოლო ვინიცის ოლქის კოლმეურნეობებმა — 223 ცენტნერი, ხმელნიცკის ოლქისა — 237 და როვნოს ოლქის კოლმეურნეობებმა — 298 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მთელი ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე. ყირგიზეთის სსრ სარწყავ მიწებზე შაქრის ჭარხლის საშუალო მოსავალი შეადგენს 372 ცენტნერს ჰექტარზე. მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს რსფსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის ჩაბარების გეგმა. რსფსრ ოლქებს შორის უველაზე დიდ წარმატებას შაქრის ჭარხლის წარმოებაში მიაღწიეს კურსკის ოლქის კოლმეურნეობებმა. მათ 1957 წელს შაქრის ჭარხლის მთლიანი მოსავალი სამჯერ გაადიდეს 1953 წელთან შედარებით და 1956 წელთან შედარებით 73 პროცენტით, შაქრის ჭარხლის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა შეასრულეს 141 პროცენტით.

დასძლიეს რა სიძნელენი, რაც გამოიწვიეს ბამბის განვითარებისათვის არახელსაყრელმა ამინდის პირობებმა და წყალმცირობამ მებამბეობის რესპუბლიკების კოლმეურნეებმა. მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა კარგი მოსავალი მოიყვანეს და უზრუნველყვეს ნედლი ბამბის დამზადების გეგმის შესრულება მთლიანად ჩვენს ქვეყანაში 1958 წლის 1 იანვრისათვის. ბამბის ნათესის თვითეულ ჰექტარზე აღებულია 20,8 ცენტნერი ნედლი ბამბა. 1955 წელთან შედარებით დამზადებულია 334 ათასი ტონით მეტი ნედლი ბამბა. ნედლი ბამბის დამზადების დაწესებული გეგმები შეასრულეს უზბეკეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, ყირგიზეთის სსრ და ყაზახეთის სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. ამ რესპუბლიკებში შესრულებულია აგრეთვე კრაველისა და აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმები.

1957 წელს ცუდ შედეგებს როდი მიაღწიეს აგრეთვე მესელეებმა და მეკანაფეებმა, რომლებმაც მოიწიეს სელისა და კანაფის კარგი მოსავალი. ორგანიზებულად აწარმოებენ სელისა და კანაფის ჩალის პირველადს დამუშავებას და სახელმწიფოსათვის საბოჭკოე სელისა და კანაფის ბოჭკოს და თესლის ჩაბარებას. სახელმწიფოს ჩაბარდა 22 პროცენტით მეტი სელის ბოჭკო, ხოლო ქერელი თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე 1956 წლის შესაბამის პერიოდში. ბევრმა ოლქმა, მხარემ და რესპუბლიკამ 1957 წელს კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის კარგი მოსავალი მოიყვანა.

პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის, მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და საკვები ბაზის განმტკიცებისათვის განხორციელებულმა დიდმა ეკონომიურმა და ორგანიზაციულმა ღონისძიებებმა უზრუნველყვეს მეცხოველეობის აღმავლობა ჩვენს ქვეყანაში.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 1958 წლის 1 იანვრისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გასულ წელთან შედარებით გადიდდა 4 მილიონ 600 ათასი სულით, ხოლო ძროხისა — ერთი მილიონი სულით. ღორის სულადობა გადიდდა 5 მილიონ 900 ათასი, ცხვრისა — 9 მილიონ 400 ათასი სულით.

პირუტყვის სულადობის ზრდასთან ერთად მიღწეულია მეცხოველეობის პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი გადიდება. გადიდდა რძის, ხორცის, მატყლისა და სხვა პროდუქტების წარმოება.

1957 წელს ხალხის წიაღში — ბრიგადებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში წარმოიშვა ის ინიციატივა, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ და ამით დიდი ნაბიჯი გადავდგათ წინ ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში. მოწინავე კოლმეურნეობების ინიციატივას მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ეს ინიციატივა გადაიქცა ნამდვილად საყოველთაო სახალხო შეჯიბრებად, რომელშიც მილიონობით ადამიანი მონაწილეობს. შეჯიბრებაში ჩაება უველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და მტს-ი, რაიონები, ოლქები, მხარეები, უველა მოკავშირე რესპუბლიკა. შეჯიბრების მსვლელობა გვიჩვენებს, რომ საბჭოთა სოფლის მშრომელების სიტყვა და საქმე ერთია. ბევრი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და მთელი რაიონები იუწყებიან, რომ წარმატებით ასრულებენ ვალდებულებებს — ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მიიღონ 100 და მეტი ცენტნერი ხორცი და 400-500 ცენტნერი რძე.

მოლდავეთის სსრ ჩადირ-ლუნგის რაიონის, ვინიცის ოლქის კრიჟოპოლისა და ვინიცის რაიონების, სტალინოს ოლქის მარიინკის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე ხორცის წარმოების შესახებ და მიიღეს 70-100 ცენტნერი ხორცი და 280-350 ცენტნერი რძე, ანუ უკვე 1957 წელს 2-3-ჯერ გაადიდეს ამ პროდუქტების წარმოება. ვინიცის ოლქის კრიჟოპოლის რაიონის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ 1957 წელს ას ჰექტარ სავარგულზე მიიღო 136 ცენტნერი ხორცი და 397 ცენტნერი რძე, ოდესის ოლქის ბერეზოვკის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობამ—120 ცენტნერი ხორცი და 450 ცენტნერი რძე, კიევო-სვიატოშინსკის რაიონის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობამ — 100 ცენტნერი ხორცი და 425 ცენტნერი რძე, კურსკის ოლქის ხომუტოვკის რაიონის ხოფელ კალინოვკის კოლმეურნეობამ — 102 ცენტნერი ხორცი და 280 ცენტნერი რძე, ტამბოვის ოლქის მიჩურინსკის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობამ — 102 ცენტნერი ხორცი და 263 ცენტნერი რძე, ჩუვაშეთის ასსრ ვურნარის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ — 115 ცენტნერი ხორცი და 301 ცენტნერი რძე.

ეს მოწმობს დასახული ამოცანის რეალურობას, დიდ შესაძლებლობასა და რეზერვებს, რაც ჩვენს სოფლის მეურნეობაში მოგვეპოვება.

კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების თავდადებული შრომის მეოხებით წარმატებით ხორციელდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანა, რომ 1960 წელს 1954 წელთან შედარებით რძის წარმოება ჩვენს ქვეყანაში მთლიანად გავადიდოთ ერთიორად. ამ უკანასკნელ სამ წელიწადში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა რძის წარმოება გაადიდეს თითქმის ერთიორად, აქედან რუსეთის სფს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა — 1,9-ჯერ, ბელორუსიის სს რესპუბლიკისა — 2,2-ჯერ, უკრაინის სს რესპუბლიკისა — 2,8-ჯერ, მოლდავეთის სს რესპუბლიკისა — 2,7-ჯერ. მთლიანად ყველა კატეგორიის მეურნეობებში რძის წარმოება ამ პერიოდში გადიდდა 43 პროცენტით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ 6 წლის განმავლობაში, ესე იგი 1960 წელს, გადიდდეს წველადობა საშუალოდ თითო ძროხაზე კოლმეურნეობებში სულ ცოტა 1.700 კილოგრამამდე. ეს დავალება გადაჭარბებით შესრულდა და ამასთან არა 6 წელიწადში, არამედ სულ 3 წელიწადში. ერთი საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობა კოლმეურნეობებში 1954 წელს შეადგენდა 1.072 კილოგრამს, ხოლო 1957 წელს — 1.858 კილოგრამს. ჩვენი კოლმეურნეობების ეს დიდი მიღწევა საბჭოთა ადამიანების დიდ კმაყოფილებას იწვევს.

საბჭოთა მეურნეობებმა 1957 წელს საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს დაახლოებით 2.700 კილოგრამი რძე, დავალება კი 1960 წლისათვის 3.100 კილოგრამია.

100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე რძის წარმოების უველაზე მაღალ დონეს მიაღწიეს მოსკოვის, ლენინგრადის, კალინინგრადის, ჩერნოვიცის, ხარკოვის, ჩერკასის, კიევისა და ვინიცის ოლქების, ლატვიისა და ესტონეთის სს რესპუბლიკების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

რძის წარმოების ზრდამ და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ხვედრითი წონის მნიშვნელოვანმა ამაღლებამ უზრუნველყვეს რძის დამზადების გადიდება ჩვენს ქვეყანაში. ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებში გათვალისწინებული იყო, რომ რძის დამზადება 1960 წელს უნდა გადიდდეს 1954 წელთან შედარებით სულ ცოტა 1,8-ჯერ. ეს დავალება აგრეთვე შესრულებულია არა 6 წელიწადში არამედ სამ წელიწადში.

ჩვენი ქვეყნის უველა კატეგორიის მეურნეობებში 1954 წელს დამზადებული და შესყიდულია 11,3 მილიონი ტონა რძე, ხოლო 1957 წელს — 20,5 მილიონი ტონა, ანუ 81 პროცენტით მეტი, ვიდრე 1954 წელს.

მაღალი ტემპები, რაც კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა აიღეს მერძეული მეცხოველეობის განვითარებაში, სრულ რწმენას გვაძლევს, რომ ჩვენ უველა შესაძლებლობა გვაქვს დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე რძის წარმოებაში უკვე 1958 წელს.

მერძეულ მეცხოველეობაში კიდევ გვაქვს დიდი რეზერვები. ამას მოწმობს იმ ოლქებისა და რესპუბლიკების წარმატებები, რომლებმაც ერთ წელიწადში რძის წარმოება 30-40 და მეტი პროცენტით გაადიდეს. ტულის ოლქი ახლო წარსულში რძის წარმოების მხრივ ერთ-ერთი ჩამორჩენილი ოლქი იყო რუსეთის ფედერაციაში და კოლმეურნეობებში საშუალოდ ერთ ძროხაზე 1954 წელს ილებდა მხოლოდ 1.100 კილოგრამ რძეს. 1957 წელს წველადობამ ერთ ძროხაზე აქ შეადგინა 2.727 კილოგრამი. შარშან ოლქმა სახელმწიფოს ჩააბარა და მიყიდა 125 ათასი ტონა რძე, ანუ 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1954 წელს, და 28 პროცენტით მეტი, ვიდრე ჩაბარებული იყო 1956 წელს.

წარმატებით ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს რიაზანელი მეცხოველეები. გასულ წელს კოლმეურნეობებში თვითეულ ძროხაზე მიღებულია 3.200 კილოგრამი რძე. წველადობა 1956 წელთან შედარებით გადიდდა 600 კილოგრამით, ხოლო 1953 წელთან შედარებით — 1.800 კილოგრამით. ოლქის საბჭოთა მეურნეობებში საშუალოდ ძროხაზე მიღებულია 3.642 კილოგრამი რძე, ანუ 1956 წელთან შედარებით 860 კილოგრამით მეტი.

გასულ წელს ლიტვის სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა რძის წარმოება გაადიდეს 49 პროცენტით, ბელორუსიის სს რესპუბლიკისა — 40 პროცენტით, უზბეკეთის სს რესპუბლიკისა — 33 პროცენტით, თურქმენეთის სს რესპუბლიკისა 32 პროცენტით, ვოლინის ოლქისა — 42 პროცენტით, უდმურტეთის ასს რესპუბლიკისა — 44 პროცენტით, კიევის, ტერნოპოლისა და კალუგის ოლქებისა — 40 პროცენტით.

გადიდდა აგრეთვე ხორცის, განსაკუთრებით ღორის ხორცის წარმოება. ამასთან ხორცის წარმოების უველაზე მეტი გადიდება მიღწეულია უკრაინაში, მოლდავეთსა და ლიტვაში. 1956 წელთან შედარებით უკრაინის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა აწარმოეს ხორცი 30 პროცენტით მეტი, ხოლო ღორის ხორცი 36 პროცენტით მეტი, გაასუქეს დაახლოებით 5 მილიონი ღორი და ასუქებენ 3 მილიონზე მეტ ღორს. 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე წარმოებულია ხორცი ცოცხალი წონით 30 ცენტნერი, ანუ 7 ცენტნერით მეტი, ვიდრე 1956 წელს. 1957 წელს უკრაინის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ყოველ ას ჰექტარ ხნულზე მიიღეს ღორის ხორცი 17 ცენტნერი, ხოლო ვინიცის, სტალინოს, ხარკოვის, კიევისა და ჩერკასის ოლქების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 20-23 ცენტნერი.

მოლდავეთის სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მარტო ერთ წელიწადში ხორცის წარმოება გაიზარდა ერთიორად და მეტად. ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს ზრდა მიღწეულია როგორც ღორის ხორცის, ისე ძროხის ხორცის ხარჯზე რაც 1957 წელს მიღებულია ერთიორად და კიდევ მეტი 1956 წელთან შედარებით.

რუსეთის ფედერაციაში დიდი წარმატებანი ხორცის წარმოების დარგში მოიპოვეს კრასნოდარის მხარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. 1957 წელს აქ ხორცის წარმოება გადიდდა 38 პროცენტით, ხოლო ღორის ხორცისა — 66 პროცენტით. თვითეულ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ხორცი მიღებულია 36 ცენტნერი.

1957 წელს ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკეთ, ვიდრე წარსულ წლებში მოაწყეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გასუქება. გასუქებულია დაახლოებით ერთი მილიონი სულით მეტი, ვიდრე 1956 წელს. ერთი სულის საშუალოდ ჩასაბარებელი წონა გადიდდა რის შედეგად შესაძლებელი გახდა მიმდინარე წელს დაბადებული მოზარდეულის ჩაბარების შემცირება. ამან დადებითი გავლენა მოახდინა ჩვენს ქვეყანაში ხორცის რესურსების გადიდებაზე და შექმნა წინაპირობები შემდგომ წლებში ძროხის ხორცის წარმოებისა და დამზადების მკვეთრი გადიდებისათვის.

წარმოების ზრდის შედეგად კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაადიდეს სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარება და მიყიდვა. ვადამდე, 1957 წლის 1 დეკემბრისათვის შესრულდა მთლიანად ჩვენს ქვეყანაში ხორცის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა. 1957 წელს ჩვენს ქვეყანაში პირუტყვი დამზადებული და შესყიდულია 550 ათასი ტონით, ანუ 12 პროცენტით მეტი, ვიდრე 1956 წელს. უკრაინის სს რესპუბლიკაში 1957 წელს ხორცი დამზადებული და შესყიდულია 27 პროცენტით მეტი, ვიდრე 1956 წელს, ლიტვის სს რესპუბლიკაში — 45 პროცენტით, მოლდავეთის სს რესპუბლიკაში — 69 პროცენტით მეტი.

პირუტყვის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა ვადამდე შეასრულეს რუსეთის ფედერაციის მშრომელებმა. 1956 წელთან შედარებით ხორცი დამზადებულია 238 ათასი ტონით მეტი. მნიშვნელოვნად გაადიდეს ხორცის წარმოება და მეტი ჩააბარეს სახელმწიფოს კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებმა, სმოლენსკის, ბელგოროდის, ომსკის, როსტოვის, კალინინგრადის, კუიბიშევის, ლენინგრადის, კალუგის, კურგანის და ირკუტსკის ოლქებმა.

ხორცის წარმოებისა და დამზადების გადიდება ჩვენს ქვეყანაში მიღწეულია უწინარეს ყოვლისა იქ, სადაც ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს მეღორეობის განვითარებას, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ცხვრის საძოვარზე და ბაგაზე გასუქებას.

ხორცის წარმოების გადიდებისათვის კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ბრძოლის შედეგებიდან შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: 1957 წელს მიღწეულია სერიოზული წარმატებანი ხორცის წარმოებაში და შექმნილია წანამძღვრები ტემპების მნიშვნელოვანი გაძლიერებისათვის მიმდინარე წელს. 1957 წელმა აგრეთვე დაგვანახვა, რომ, თუ უფრო სრულად გამოიყენებენ არსებულ რეზერვებს, ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონს შეუძლია წლის განმავლობაში 30-40 და მეტი პროცენტით გაადიდონ ხორცის წარმოება და ამრიგად გადამწყვეტი წვლილი შეიტანონ იმ საერთო-სახალხო ამოცანის მიღწევაში, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის წარმოების მხრივ.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გაზვიადებით შეგვეფასებინა ჩვენი წარმატებანი ხორცის წარმოებაში. მიუხედავად მიღწეული შედეგებისა, ხორცის წარმოება ჯერ კიდევ სერიოზულად ჩამორჩება ხორცზე მოთხოვნილებებს, მოსახლეობის მოთხოვნა ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე სრულად ვერ კმაყოფილდება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ხორცის წარმოების შემდგომი, კიდევ უფრო სწრაფი გადიდების ამოცანა ამჟამად ერთ-ერთი უველაზე მნიშვნელოვანი ამოცანათაგანია სოფლის მეურნეობაში. აქედან გამომდის, რომ საჭიროა გავაჩაღოთ ბეჯითი ბრძოლა იმისათვის, რომ გამოვიყენოთ რეზერვები, რომლებიც ესოდენ ბევრი მოგვეპოვება. ამის დასადასტურებლად საკმაოა მოვიყვანოთ მონაცემები ხორცის წარმოებისა და ჩაბარების შესახებ ორ მეზობელ ოლქში — ომსკისა და ნოვოსიბირსკის ოლქებში, რომლებსაც დაახლოებით ერთნაირი პირობები აქვთ. ომსკის ოლქმა 1957 წელს 1956 წელთან შედარებით სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარება გაადიდა 19,2 ათასი ტონით, ანუ 37 პროცენტით, მაშინ როცა ნოვოსიბირსკის ოლქმა იმავე ვადაში სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარება შეამცირა 3,8 ათასი ტონით, ანუ 7 პროცენტით. ომსკის ოლქში 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ხორცის წარმოება 1,6-ჯერ მეტია, ვიდრე ნოვოსიბირსკის ოლქში.

რით აიხსნება ასეთი ფაქტები? ცხადია, იმით, რომ ნოვოსიბირსკის ოლქის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები ჯეროვნად არ მუშაობენ მეღორეობის განვითარებისა და ღორების გასუქებისათვის, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სულადობის შენარჩუნებას, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საძოვარზე და ბაგაზე გასუქებას.

სწორედ მეღორეობის განვითარების საქმისადმი არასაკმაო ყურადღებით, პირუტყვის გასუქების ცუდი ორგანიზაციით აიხსნება ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მისი ჩაბარების შემცირება 1957 წელს 1956 წელთან შედარებით ყაზახეთის სს რესპუბლიკასა და სომხეთის სს რესპუბლიკაში, ვოლოგდის, არხანგელსკის, იაროსლავლის, კოსტრომის, პერმისა და ტომსკის ოლქებში.

მეცხვარეობის განვითარების საკითხთა შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი წერილის შემდეგ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაადიდეს ცხვრის სულადობა, მატყლის წარმოება და დამზადება. 1957 წელს ცხვრის სულადობა გადიდდა 9,4 მილიონით, დამზადდა 344 ათასი ცენტნერით მეტი მატყლი, ანუ 14 პროცენტით მეტი, ვიდრე 1956 წელს. ცხვრის ჯიშიანობის გაუმჯობესებისათვის მიღებულ ღონისძიებათა მეოხებით უკანასკნელ სამ წელიწადში გადიდდა უველაზე ძვირფასი ნაზი და ნახევრადნაზი მატყლის დამზადება. ცხვრის სულადობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მატებასა და მატყლის წარმოების გადიდებას მიაღწიეს სტავროპოლის მხარის, ჩიტის, როსტოვის, ხერსონისა და მთელი რიგი სხვა ოლქების, ყაზახეთისა და ყირგიზეთის სს რესპუბლიკების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს დადებითი შედეგები მეფრინველეობის განვითარებაში. ფრინველის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1957 წელს გადიდდა 8,7 მილიონი ფრთით, დამზადებულია 30 პროცენტით მეტი კვერცხი, ვიდრე 1956 წელს. რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ახლა მეტ ყურადღებას უთმობენ წყალმცურავი ფრინველის მოშენებას. ამ საქმეში შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინეს სტალინოს ოლქის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც 1957 წელს გამოზარდეს და სახორცედ ჩააბარეს დაახლოებით 6 მილიონი ფრთა ფრინველი. ოდესის ოლქის კოლმეურნეობებმა გამოიყენეს რა დნესტრის, დუნაის ჭალაკები და ზღვის ყურეები, 1957 წელს გამოზარდეს სახორცედ 2 მილიონი იხვი. კრასნოდარის მხარის კანევსკის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს გამოზარდეს 530 ათასი იხვი. ამ რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ გაასუქა 150 ათასი იხვი და ჩააბარა სახელმწიფოს 180 ტონა ფრინველის ხორცი, ანუ 50 ცენტნერი მარცვლეულის ას ჰექტარ ნათესზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ წარმატებანი ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის განვითარებასა და ხორცისა და რძის წარმოების გადიდებაში შესაძლებელი გახდა იმ დიდი მუშაობის შედეგად, რომელიც შეასრულეს პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საკვები ბაზის განსამტკიცებლად, სიმინდის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ბევრ ოლქში, მათ შორის ციმბირშიც, სიმინდმა მოიპოვა ის ადგილი, რომელიც მას ეკუთვნის.

განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა სიმინდმა მეცხოველეობისათვის წვნიანი საკვების წარმოების ზრდაში. თუ 1953 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დაამზადეს დაახლოებით 32 მილიონი ტონა სილოსი, გასულ წელს დაამზადეს დაახლოებით 90 მილიონი ტონა, ანუ საშუალოდ 7 ტონა ძროხაზე. შარშანდელზე მეტია დამზადებული კონცენტრირებული და უხეში საკვები. უოველივე ეს ხელსაყრელ პირობებს ქმნის პირუტყვის გამოზამთრებისათვის და მეცხოველეობის პროდუქციის გადიდებისათვის.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკამ ამ უკანასკნელ წლებში დაადასტურა, რომ სიმინდი განსაკუთრებით სასილოსედ, ჩვენი ქვეყნის უველა ზონაში უველაზე მეტი რაოდენობის საკვებს იძლევა ერთ ჰექტარ ნათესზე. ამას დამაჯერებლად მოწმობს მრავალი ასეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის გამოცდილება, რომლებმაც 1957 წლის შემოდგომაზე უჩვენეს თავიანთი შესანიშნავი შედეგები სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. აი ზოგიერთი მათგანი. სვერდლოვსკის ოლქის ირბიტის რაიონის სოფელ ბუჟნინის კოლმეურნეობამ 20,5 ჰექტარ ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 1.548 ცენტნერი სასილოსე სიმინდი. კუსტანაის ოლქის ტარანოვსკის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ 18 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 1.090 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასის მოსავალი. ლიტვის სსრ ვილნიუსის რაიონის კოლმეურნეობა „ზარიაში“ 25 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 902 ცენტნერი სასილოსე სიმინდის მოსავალი. მოსკოვის ოლქის სერპუხოვის რაიონის კოლმეურნეობა „პახარმა“ 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 500 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასის მოსავალი. მაგრამ კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და ცალკეული ოლქებისა და რესპუბლიკების ბევრი დაუდევარი ხელმძღვანელი კვლავ უგულებელყოფს ამ ძვირფას საკვებ კულტურას და ამით აფერხებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდას.

ორიოლის ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1957 წელს დაითესა 236 ათასი ჰექტარი სიმინდი. ამ კულტურას სათანადო მოვლა არ ჰქონია. სიმინდის ნათესთა დამუშავება მოხდა ნახევარზე ნაკლებ ფართობზე. ამის შედეგად სიმინდის ნათესის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიღუპა. სასილოსედ აღებულია მხოლოდ 46 ათასი ჰექტარი და ჩადებულია სიმინდის სილოსი მხოლოდ 2,6 ტონა თვითეულ ძროხაზე. ამავე დროს ამ ოლქში ცოტა როდია ისეთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც კარგი მოვლის მეოხებით ყოველწლიურად იღებენ სიმინდის უხვ მოსავალს. გლაზუნოვკის რაიონის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობამ გასულ წელს 120 ჰექტარი სიმინდის ნათესის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 299 ცენტნერი მწვანე მასა და თვითეულ ძროხაზე ჩადო 12 ტონა სიმინდის სილოსი.

ცუდად არის აგრეთვე სიმინდის წარმოების საქმე ბელორუსიის სსრ გროდნოს ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. აქ სიმინდის არადამაკმაყოფილებელი მოვლის შედეგად მწვანე მასის მცირე მოსავალი მოვიდა და ჩადებულია სიმინდის სილოსი მხოლოდ 2,1 ტონა თვითეულ ძროხაზე. სიმინდის ნათესი დაიღუპა მნიშვნელოვან ფართობებზე. ამავე დროს ვოლკოვისკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობასა და ოლქის მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში მოჰყავთ ჰექტარზე 400 და მეტი ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა.

გასულ წელს დიდი მუშაობაა შესრულებული წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე შრომისა და სახსრების, აგრეთვე თვითღირებულების შესამცირებლად. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მტს-ები უფრო ეკონომიურად, სწორად და გონივრულად იყენებენ სახსრებს კაპიტალური მშენებლობისა და საწარმოო ხარჯებისათვის, იბრძვიან იმისათვის, რომ თვითეული დახარჯული მანეთი უფრო სწრაფად გაინაღდონ და შექმნან გაფართოებული კვლავწარმოების პირობები. ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით სულ უფრო მცირდება ეკონომიურად სუსტ, ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა რიცხვი. კოლმეურნეობებში შემოსავლის ზრდასთან ერთად მატულობს კოლმეურნეებისათვის შრომადღეებზე ფულის გაცემა. კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად განმტკიცდა დისციპლინა, გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია. სისტემატურად მტკიცდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობა.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცხოვრებაში 1957 წელს ღირსშესანიშნავი მოვლენა ის იყო, რომ მემინდვრეობის ბრიგადების და მეცხოველეობის ფერმებში მივიდა ბევრი კომკავშირელი და ახალგაზრდა. უკვე იშვიათი მოვლენა როდია, როცა მეცხოველეობაშიც და მემინდვრეობაშიც მუშაობენ ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებმაც დაამთავრეს ათწლედი და დაუსწრებლად სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში. ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მარტო მეცხოველეობის ფერმებში მუშაობს 500 ათასზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა.

კომკავშირელები და ახალგაზრდობა დიდი ენთუზიაზმით ჩაებნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის ბრძოლაში. საჭიროა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები უოველდღიური ყურადღებითა და ზრუნვით მოეკიდონ თვითეულ ქალიშვილსა და ჭაბუკს, რომლებიც მივიდნენ ბრიგადებსა და ფერმებში, დაეხმარონ მათ მოწინავე გამოცდილებისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების მიღწევების ათვისებაში, აგრეთვე კულტურული დასვენებისა და ყოფაცხოვრების მოწყობაში.

1957 წლის შედეგები გვიჩვენებენ, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა მკვეთრ აღმავლობას განიცდის. შექმნილია მტკიცე საფუძვლები მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ზრდისათვის, სოფლის მეურნეობის მშრომელების მიერ დასახული იმ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ. ახლა საქმე დამოკიდებულია ჩვენზე, ჩვენს ორგანიზებულობასა და სიმტკიცეზე. ახლა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იწყებენ გასული სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგების შეჯამებას. ამ სამუშაოს შესრულების დროს მთელი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი რეზერვების მაქსიმალურ გამოვლინებასა და გამოყენებას, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებას და სოფლის მეურნეობის ინტენსიურობის გადიდებას.

უკანასკნელ წლებში სახელმწიფომ მნიშვნელოვანი სახსრები დააბანდა სოფლის მეურნეობაში, აღჭურვა იგი მდიდარი ტექნიკით. 1958 წლის დამდეგს ჩვენი ქვეყნის მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში არის დაახლოებით 1.700 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გაანგარიშებით), 450 ათასზე მეტი მარცვლეულის კომბაინი და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა. ახლა საჭიროა მხოლოდ სწორად გამოვიყენოთ მთელი ეს კოლოსალური მატერიალური რესურსები. საჭიროა მთელი სიმკვეთრით ვიბრძოლოთ სახელმწიფო სახსრების ხელგაშლით გამოყენების წინააღმდეგ, გავაკეთოთ ისე, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული თვითეული მუშაკი ცდილობდეს არ გასწიოს ზედმეტი ხარჯები, მიაღწიოს იმ შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოყენებას, რომლებიც აქვს ჩვენს სოფლის მეურნეობას. რაც უფრო კარგად და უფრო სრულად გამოვიყენებთ ტექნიკას, მით უფრო მალე ანაზღაურდება სახსრები, რომლებიც სახელმწიფომ დააბანდა სასოფლო-სამეურნეო მანქანებში, მით უფრო ნაკლები იქნება პროდუქციის თვითღირებულება და მეტი იქნება შემოსავალი, მით უფრო მეტი ექნება ჩვენს სახელმწიფოს შესაძლებლობა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყურადღება მიაქციონ შემდეგ საკითხებს, რომლებიც უნდა გადაიჭრას 1958 წელს.

უოველი ღონისძიებით ავითარებენ რა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალებს, პარტია და მთავრობა განუწყვეტლივ აქცევენ სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ყურადღებას წარმოების ორგანიზაციის ეკონომიურ მხარეს, რათა სისტემატურად გადიდდეს შრომის ნაყოფიერება და შემცირდეს წარმოების ხარჯები. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „...შრომის ნაყოფიერების გადიდება შეადგენს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, რადგან უამისოდ კომუნიზმზე საბოლოო გადასვლა შეუძლებელია“. (თხზულებანი, ტომი 29, გვერდი 119).

ჩვენი მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოება უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების მკვეთრ გადიდებას როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მეცხოველეობაში და შესაძლებლობას იძლევა სისტემატურად შევამციროთ შრომისა და სახსრების ხარჯვა სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის ერთეულზე. ამიტომ სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების ორგანიზაციის ეკონომიურ მხარეს, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხებს. აქ იფარება სოციალისტური სოფლის მეურნეობის უველაზე დიდი რეზერვები. ჩაუფიქრდით, ამხანაგებო, შემდეგ ფაქტებს.

1956 და 1957 წლებში მთელ რიგ მტს-ებში წარმოებდა საცდელი მუშაობა სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების კომპ-

(გაგრძელება მე 2 გვერდზე)

ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა

(გაგრძელება)

ლექსური მექანიზაციისათვის მანქანების ყველაზე მიზანშეწონილი კომპლექტის გამოყენებით. ომსკის ოლქის სერებრიანსკის მტს-ის კოლმეურნეობა „ირტიშში" მარცვლეული კულტურების ალების დროს მიღებულია ასეთი შედეგები:

| მანქანების კომპლექტის პირველი ვარიანტი | | მანქანების კომპლექტის მეორე ვარიანტი | |
|---|---|---|---|
| მისაბმელი კომბაინები (ს-6) | — 5 | თვითმავალი კომბაინები (2 ცალი სკ-3 და 1 ცალი ს-4 მ) | — 3 |
| ტრაქტორები (დტ-54) | — 8 | ულაფეტო სამკალი მანქანა (ჟბ-4,9) | — 1 |
| ლაფეტიანი სამკალი მანქანები (ჟრ-4,9) | — 3 | ტრაქტორი „ბელარუსი" | — 1 |
| კ ა დ რ ე ბ ი | | კ ა დ რ ე ბ ი | |
| კომბაინერი | — 5 | კომბაინერი | — 3 |
| კომბაინერის თანაშემწე | — 5 | | |
| ტრაქტორისტი | — 8 | ტრაქტორისტი | — 1 |
| ლაფეტიანი სამკალი მანქანის მემანქანე | — 3 | | |
| დამბულულებელი | — 10 | | |
| სულ | — 31 კაცი | სულ | — 4 |

| | | |
|---|---|---|
| ალებულია 24 სამუშაო დღეში | — 1.110 ჰექტარი | — 1.006 ჰექტარი |
| მოსავალი 1 ჰექტარზე | — 18 ცენტნერი | — 18 ცენტნერი |
| გამომუშავებულია ერთ მუშაზე | — 36 ჰექტარი | — 250 ჰექტარი |
| | — 648 ცენტნერი | — 4.500 ცენტნერი |

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, როცა გამოყენებულია უფრო სრულყოფილი კომბაინები სკ-3 და ულაფეტო სამკალი მანქანები ჟბ-4, 9, აგრეთვე უკეთ არის ორგანიზებული მათი გამოყენება, შრომის დანახარჯი 7-ჯერ შემცირდა. ეს მიღწეულია, უმთავრესად, იმის შედეგად, რომ განხორციელდა მოსავლის ცალცალკე ალება და მოსავლის ცალცალკე ალებისას თვითმავალი კომბაინები, როგორც გამოირკვა, უფრო ნაყოფიერად მუშაობენ, ვიდრე მისაბმელი კომბაინები. ამჟამად მრეწველობა შეუდგა სკ-3 კომბაინებისა და ჟბ-4, 9 სამკალი მანქანების წარმოებას და სოფლის მეურნეობა აღიჭურვება ამ მანქანებით.

ამჟამად 100 ჰექტარი სიმინდის მოსაყვანად საჭიროა 25-30 კაცი. ამავე დროს ვორონეჟის ოლქის ნოვაია უსმანის მტს-ის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ 1956 წელს ორმა მექანიზატორმა, რომლებსაც თავის განკარგულებაში ჰქონდა ტრაქტორი „ბელარუსი", სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანა საზომი მავთულის მექანიკური დიაგონალური გადატანით, საკიდი კულტივატორი, სილოსასაღები კომბაინი, შეასრულა 130 ჰექტარი სიმინდის მოყვანისა და ალების სამუშაოთა მთელი კომპლექსი და ამ ნაკვეთზე მიიღო 375 ცენტნერი მწვანე მასა ჰექტარზე. 1957 წელს მათვე დაამუშავეს 198 ჰექტარი სიმინდის ნაკვეთი და, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდის პირობებისა, ჰექტარზე მიიღეს 250 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა.

ბევრი ასეთი მაგალითია წარმოების სულ სხვადასხვა დარგში. საჭიროა, რომ თვითეულ კოლმეურნეობაში, თვითეულ მტს-ში და თვითეულ საბჭოთა მეურნეობაში მოიფიქრონ შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ერთეულზე შრომის დანახარჯის შემცირების, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის გადიდების კონკრეტული ღონისძიებანი.

ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის შემდგომი გადიდება მთავარი ამოცანაა მიწათმოქმედებაში. ჩვენ კვლავაც უნდა ვზარდოთ მარცვლეულის წარმოება, არ შევანელოთ ყურადღება ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისადმი. საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ეს მუშაობა ისე უნდა შეასრულონ, რომ სახელმწიფოსაგან არ მოითხოვონ დამატებითი ტექნიკა, ესე იგი იმ ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა მანქანების უკეთ გამოყენებით, რომლებიც მათ აქვთ. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელ 2-3 წელიწადში მნიშვნელოვანი რაოდენობით გაიგზავნა ტექნიკა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში. ამიტომ ყაზახეთის, დასავლეთ ციმბირის, ურალისა და ვოლგისპირეთის ოლქებს დიდი შესაძლებლობა აქვთ, რომ ტექნიკის გამოყენების გაუმჯობესების გზით აითვისონ ახალი მიწები და გაადიდონ მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობები.

დღემდე ნათესთა გაფართოება ჩვენში ხორციელდებოდა ძირითადად ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებით ყაზახეთში, ციმბირში, ურალსა და ვოლგისპირეთში და ეს სწორიც იყო. ახლა კი დადგა დრო დავისახოთ ჩვენი ქვეყნის თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მთელი მიწების მაქსიმალური გამოყენების ამოცანა. თუ გულდასმით შევისწავლით ამ მხრივ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობებს, შეიძლება სხვა რაიონებშიც გამოვნახოთ სახნავად ასობით ათასი, ხოლო შესაძლოა რამდენიმე მილიონი ჰექტარი მიწა.

მოსავლიანობის გადიდება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების ბაზაზე. მიწათმოქმედების მაღალი კულტურა კონკრეტული ელემენტებისაგან იქმნება. ზოგიერთ მათგანს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მიაქცევს სოფლის მეურნეობის მუშაკთა განსაკუთრებულ ყურადღებას. საჭიროა, რომ სპეციალისტები კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებთან ერთად გაერკვნენ თესლბრუნვის ვითარებაში, თვითეულ კოლმეურნეობას ურჩიონ აგრონომიულად და ეკონომიურად დასაბუთებული მორიგეობა კულტურებისა. არ უნდა ელოდონ ამის თაობაზე რაიმე დირექტივას ზემოდან. საჭიროა აგრეთვე გარკვევა იმაში, თუ როგორ არის თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მეთესლეობის საქმე, გამოინახოს შესაძლებლობანი იმისათვის, რომ მაქსიმალურად გაფართოვდეს მოცემულ პირობებში ყველაზე მოსავლიანი, დარაიონებული ჯიშების მარცვლეული და სხვა კულტურების ნათესები.

თვითეულ რაიონს, ხოლო რაიონში თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას ყველა შესაძლებლობისა და მთელი რეზერვების გათვალისწინების საფუძველზე უნდა ჰქონდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის განვითარების მოფიქრებული გეგმა ხანგრძლივი პერიოდისათვის. გეგმაში უნდა გავითვალისწინოთ სოფლის მეურნეობის ყველა სახეობის პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი წლების მიხედვით. ამასთან უნდა უზრუნველვყოთ, რომ კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ნამდვილად გამოიყენონ მათთვის მინიჭებული უფლება თავისუფალი დაგეგმვისა, სრულყონ ნათესი ფართობების სტრუქტურა, რათა აწარმოონ მაქსიმალური რაოდენობის პროდუქცია თვითეულ ჰექტარ მიწაზე, სწორად შეარჩიონ და გაანაწილონ ადამიანები, რომლებიც მტკიცედ იბრძოლებენ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის, მოსავლიანობის გადიდებისათვის და უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას და მისი თვითღირებულების მკვეთრ შემცირებას.

საკმარისი დატენიანების რაიონებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და განსაკუთრებით საკვების წარმოების გადიდებისათვის დიდი გამოუყენებელი რეზერვია საანეულე მიწები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს არაერთხელ აღუნიშნავთ იმის ეკონომიური მიზანშეწონილობა, რომ ანეულის ფართობი გამოვიყენოთ ადრე ასაღები ისეთი კულტურების დასათესავად, როგორიც არის საადრეო კარტოფილი, ცერცველა შვრიანარევი, ჭვავი სათივედ და საძოვრად, საკვები ხანჭკოლა და სხვები. ეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შესაძლებლობას აძლევს დამატებით მიიღონ დიდი რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნან მომავალი წლების მოსავლიანობას. შეიძლება კიდევ მოვიყვანოთ ბევრი მაგალითი, რომლებიც ადასტურებენ ამ ღონისძიების სისწორესა და მიზანშეწონილობას. მაგალითად, მინსკის ოლქის გასტელოს სახელობის კოლმეურნეობა უხვად აწარმოებს მწვანე საკვებს მოთესილ ანეულში. 1957 წელს აქ 400 ჰექტარი ანეული გამოიყენეს სიმინდის, ხანჭკოლისა და სხვა საკვები კულტურების დასათესად, რამაც მოგვცა 10 ათასი ტონა დიდად ნოყიერი წვნიანი საკვები. მოსკოვის ოლქის კუნცევოს რაიონის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობამ 1957 წელს მოთესილ ანეულში დათესა საადრეო კარტოფილი, ცერცველა შვრია ნარევი, სიმინდი და სხვა კულტურები და დამატებით მიიღო ჰექტარზე 2.640 საკვები ერთეული. ამ რაიონის კოლმეურნეობებში თითქმის ყველა ანეული მოთესილია. დამატებით იღებენ რა დიდი რაოდენობის პროდუქციას ამ ფართობებზე, ამავე დროს კოლმეურნეობები საშემოდგომო კულტურების უხვ მოსავალს იღებენ. 1957 წელს რაიონის კოლმეურნეობებმა მოთესილ ანეულში მიიღეს საშემოდგომო კულტურების 18,6 ცენტნერი მოსავალი ჰექტარზე.

მაგრამ დატენიანებული ზონის ბევრ რაიონში ჯეროვნად არ აფასებენ მოთესილ ანეულს და ცუდად იყენებენ სახნავ მიწებს. რუსეთის სფსრ, უკრაინის პოლესიეს, არაშავმიწადაგიანი ზონის რაიონებში, ბელორუსიის სსრ, ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ და ესტონეთის სს რესპუბლიკაში 1957 წელს დამუშავებული იყო 80 მილიონ ჰექტარზე მეტი ხნული, აქედან 5 მილიონ ჰექტარზე მეტი ეგრეთწოდებულ სუფთა ანეულს ეკავა. ეს ფართობი რომ გამოეყენებინათ ხანჭკოლის, საადრეო კარტოფილის ან ცერცველა შვრია ნარევისა და ბარდა შვრია ნარევის დასათესავად, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დამატებით მიიღებდნენ მილიონობით ტონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას.

პირიქით, არასაკმარისი დატენიანების ზონებში, როგორიც არის, მაგალითად, ყაზახეთის, ციმბირის, სამხრეთ ურალის, ვოლგისპირეთის, უკრაინის სამხრეთის რაიონები, სადაც მეცნიერებამ და პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ უხვი და მყარი მოსავლის მისაღებად საჭიროა ანეული, უნდა შემოვიღოთ სწორი თესლბრუნვა და შემოდგომის ანეული. ამ ზონაში შემოდგომის ანეული მთავარია სარევლას წინააღმდეგ ბრძოლასა და ტენის დაგროვებაში. არ უნდა შევუშინდეთ იმას, რომ სწორი თესლბრუნვისა და შემოდგომის ანეულის შემოღების შედეგად შეიძლება აქა-იქ მოხდეს მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობების ერთგვარი შემცირება, სამაგიეროდ მარცვლეულის მთლიანი მოსავალი აუცილებლად გადიდდება.

მარცვლეულის მთლიანი მოსავლის გადიდების დიდი რეზერვია ბრძოლა მოსავლის დანაკარგთან მარცვლეული კულტურების ალების დროს. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ერთხელ კიდევ მოაგონებენ სოფლის მეურნეობის მუშაკებს, რომ 1958 წელს საჭიროა უაღრესად ფართო მასშტაბით გამოიყენონ პურეულის ცალცალკე ალება. სოფლის მეურნეობა ახლა საკმარისად არის აღჭურვილი მანქანებით, რათა მოსავლის ალება ამ პროგრესული ხერხით მოაწყონ. ახლა ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს, რომ მიმდინარე წელს, როგორც წესი, მარცვლეული კულტურების მთელი ნათესები ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში ცალცალკე ავიღოთ. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს მოსავლის დანაკარგს და კოლმეურნეობებსა და სახელმწიფოს დამატებით მისცემს ასეულ მილიონობით ფუთ მარცვლეულს.

აგროტექნიკის მოწინავე ხერხებისა და უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილების ფართო გამოყენების საფუძველზე 1958 წელს უზრუნველყოფილ უნდა იქნას ტექნიკური კულტურების — ბამბის, შაქრის ჭარხლის, საბოჭკოე სელის, კანაფისა და სხვა კულტურების წარმოების შემდგომი გადიდება იმ მიზნით, რომ მთლიანად დაკმაყოფილდეს გადამამუშავებელი მრეწველობის მოთხოვნილება ნედლეულზე.

საჭიროა ყოველი ღონისძიებით გავადიდოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება, უნდა შევიგნოთ, რომ კარტოფილი მოსახლეობის კვების უმნიშვნელოვანესი პროდუქტია, და ამავე დროს ჩვენი ქვეყნის ბევრი რაიონისათვის კარტოფილი უნდა გახდეს მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების ერთ-ერთი მთავარი კულტურა.

მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან ერთად მკვეთრად გაიზრდება ხილის, კენკრისა და ყურძნის მოხმარება. ჩვენს ქვეყანას დაუშრეტელი შესაძლებლობა მოეპოვება ამ ძვირფასი პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გასადიდებლად. დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ის, რომ ყოველი ღონისძიებით გავაფართოოთ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებში ბაღების, საკენკრეებისა და ვენახების გაშენება. ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს ბაღ-ვენახების მოვლა და გადიდდეს მათი მოსავლიანობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ ხაზგასმით აღნიშნონ, რომ ერთ-ერთი მთავარი პირობა, რომელმაც უზრუნველყოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მოკლე ვადაში ყველა სახეობის პირუტყვის სულადობის მნიშვნელოვანი გადიდება და მისი პროდუქტიულობის ზრდა არის საკვები ბაზის განმტკიცება, უმთავრესად სიმინდის ნათესთა ფართო დანერგვით. ახლა აღარ არის საჭირო იმის მტკიცება, თუ რა განსაკუთრებული ღირებულება აქვს ამ კულტურას. ეს სავსებით ნათლად დაადასტურა არა ცალკეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცდებმა, არამედ მთელი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პრაქტიკამ.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ამოცანა ის არის, რომ დაეხმარონ კოლმეურნეობებს ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში სიმინდის წარმოების გადიდებასა და სიმინდის უხვი მოსავლის მიღებაში.

რძისა და ხორცის წარმოების დასახული გეგმების შესასრულებლად ჩვენ უნდა გვქონდეს 2-3-ჯერ მეტი წვნიანი საკვები, ვიდრე შარშან. ამ ამოცანის გადაწყვეტაც შეიძლება მხოლოდ ნათესთა გაფართოებისა და უმთავრესად სიმინდის მოსავლიანობის გადიდებით. ვერც ერთი სხვა კულტურა ვერ გადაწყვეტს ამ ამოცანას. 1958 წელს ჰექტარზე 30 ტონა სიმინდის მწვანე მასის მიღება მიჩნეულ უნდა იქნას საშუალო მოსავლად ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში.

ეს არის დიდი სახელმწიფოებრივი ამოცანა, რომლის შესრულებაზე დამოკიდებულია მეცხოველეობის განვითარების ყველა საკითხის წარმატებით გადაჭრა, ჩვენს ქვეყანაში რძისა და ხორცის წარმოების გადიდება.

უნდა განვაგრძოთ გულმოდგინე მუშაობა, რათა სიმინდის მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად გავაფართოოთ სხვა საკვები კულტურების, კერძოდ, სამყურას, იონჯის, ცერცველა-შვრიის, პარკოსან-შვრიის ნარევთა, ხანჭკოლის და ბევრი სხვა პარკოსანი და მარცვლოვანი კულტურების ნათესები და განსაკუთრებით გავადიდოთ მათი მოსავლიანობა. აქ არ შეიძლება დავუშვათ შაბლონი, არამედ საკითხს უნდა მივუდგეთ მეურნეობრივად, ადგილობრივი პირობებისა და კონკრეტული ვითარების შესაბამისად. იქ, სადაც კარგად მოდის და დიდ მოსავალს იძლევიან სამყურა, იონჯა, ტიმოთელა, ხანჭკოლა და სხვა პარკოსანი და მარცვლოვანი ბალახები, ყოველგვარი დახმარება უნდა გაეწიოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ამ კულტურების ნათესთა გაფართოებაში, ხოლო, რაც მთავარია, მოსავლიანობის გადიდებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სახავენ გადაუდებელ ამოცანას, რომ 1958 წლიდან დაწყებული ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას, გარდა სპეციალური სასუქი მეურნეობებისა, აუცილებლად ჰქონდეთ საკუთარი საკვები სათანადო საკვები კულტურების სწორი შერჩევის გზით, აწარმოონ სიმინდი, თივა, რასაც პარკოსანი და მარცვლოვანი ბალახნარევები იძლევა, სიმინდისა და პარკოსან ნარევთა სილოსი. ბოლო უნდა მოეღოს ისეთ მდგომარეობას, როცა ძალიან ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა პირუტყვის მოვლა-შენახვის თავიანთ გეგმებს ადგენენ შეზიდული საკვების საფუძველზე. ეს სასარგებლო არ არის არც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, არც სახელმწიფოსათვის. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ თვითეულ კოლმეურნეობასა და თვითეულ საბჭოთა მეურნეობას ჰქონდეს საკუთარი საკვები, რაც საშუალებას მისცემს მათ კვებონ პირუტყვი სრულფასოვანი რაციონებით. ასეთი შესაძლებლობა აქვს ჩვენი ქვეყნის თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ხორცისა და რძის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის საჭირო იქნება 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის სულადობის მნიშვნელოვანი გადიდება და არა მარტო მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება. ამასთან აუცილებლად საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ თვითეულ რესპუბლიკასა და ოლქში არსებული პირობები ამა თუ იმ სახეობის პირუტყვის მოშენებისათვის.

პირუტყვის სულადობის შემდგომი ზრდა უნდა მიმდინარეობდეს უმთავრესად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რადგან მუშაობის პრაქტიკამ მთელი დამაჯერებლობით დაამტკიცა, რომ მეცხოველეობის მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის წარმოების სწრაფი გადიდების საქმეში უპირატესობა აქვს მსხვილი მეურნეობის წარმოებას.

ამ უკანასკნელ წლებში ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ ყურადღება მიაპყრო უმთავრესად თვითეულ ძროხაზე წველადობის გადიდებას და ამ გზით ზრდიდნენ რძის წარმოებას. ეს მისწრაფება სწორია. საჭიროა კვლავაც ავამაღლოთ მეცხოველეობის ინტენსიურობა, გავადიდოთ წველადობა. მაგრამ საჭიროა, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები არა მარტო იბრძოდნენ წველადობის ზრდისათვის, არამედ ამასთანავე უზრუნველყოფდნენ რძის ცხიმიანობის გადიდებას. მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მარტო რაოდენობა ძროხაზე მიღებული რძისა, არამედ ამასთანავე შემოვიღოთ რძის ცხიმიანობის აღრიცხვაც, ვიცოდეთ რა ოდენობით ვიღებთ ცხიმს, რათა რძის ცხიმიანობის გადიდების გზით გავადიდოთ მერძეული პირუტყვის პროდუქტიულობა.

ახლა როცა დასახულია ამოცანა, რომ სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება რძესა და რძის პროდუქტებზე, საჭიროა კვლავაც გავადიდოთ რძის მთლიანი წარმოება, ხოლო ამის მიღწევას შევძლებთ მხოლოდ იმ პირობით, თუ ძროხის პროდუქტიულობის გადიდებასთან ერთად მკვეთრად გავადიდებთ მის სულადობას. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში ძროხის სულადობა ნელა იზრდებოდა. ამასთან მთელი რიგი მეურნეობანი, თვითეულ ძროხაზე წველადობის მაღალი მაჩვენებლები რომ ექნეთ, ამცირებენ კიდევაც მის სულადობას, სახორცედ აბარებენ ძროხებს, რომლებსაც კარგი კვების პირობებში შეუძლიათ კიდევ მოგვცენ არცთუ ცუდი წველადობა, აგრეთვე ნამატი.

საჭიროა შევიგნოთ, რომ მარტოოდენ წველადობის გადიდების გზით არ შეიძლება უზრუნველვყოთ, რომ მეტწილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 100 ჰექტარ მიწაზე მიიღონ 300-400 ცენტნერი რძე. დადგა დრო სხვანაირად მივუდგეთ მერძეული მეცხოველეობის განვითარებაში რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმატებათა შეფასებასაც. არ შეიძლება შეჯიბრებაში გამარჯვებულად მიჩნევა მარტოოდენ ერთი მაჩვენებლის — წველადობის მიხედვით. გამარჯვებული ის არის, ვინც მიაღწევს მაღალ წველადობას რძის ცხიმის დიდი შემცველობით და ვისაც ამასთანავე ჰყავს ყველაზე ბევრი ძროხა, და, მაშასადამე, ყველაზე მეტი რაოდენობით იღებს რძეს ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში რომ არ წარმოებს ჯეროვანი ბრძოლა ძროხის სულადობის გადიდებისათვის, ამას მოწმობენ ასეთი ფაქტები.

მაშინ როცა რუსეთის ფედერაციის, უკრაინის სსრ, მოლდავეთის სსრ, ბელორუსიის სსრ, ლიტვის სსრ და უზბეკეთის სსრ ოლქების ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში რძის წარმოების ერთიორად და უფრო მეტად გადიდება უკანასკნელ სამ წელიწადში მიღწეულ იქნა იმის შედეგად, რომ ერთ ძროხაზე რძის წველადობა 500-1000 კილოგრამით გაიზარდა, ამასთან ძროხის სულადობა 20-40 პროცენტით გადიდდა, ესტონეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ყაზახეთის სსრ და სომხეთის სს რესპუბლიკაში ძროხის რაოდენობა ამ პერიოდში თითქმის არ გადიდებულა. აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ, ლატვიის სსრ, თურქმენეთის სსრ და ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში, ალმა-ატისა და აქტიუბინსკის ოლქებში რძის წარმოების ზრდა მხოლოდ და მხოლოდ წველადობის გადიდების გზით მიმდინარეობდა, რადგან ძროხის სულადობა არ იზრდებოდა, არამედ კიდევაც მცირდებოდა.

რძესა და რძის პროდუქტებზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება რომ უკეთ დავაკმაყოფილოთ, შესაძლებლობა რომ გვქონეს შემდგომ წლებშიც ვზარდოთ რძისა და ხორცის წარმოება, საჭიროა მივაღწიოთ ძროხის სულადობის მკვეთრ გადიდებას.

ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში როდი უნდა იყოს ძროხის ერთნაირი რაოდენობა ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. საჭიროა მხედველობაში მივიღოთ თვითეული ზონის თავისებურებანი. უახლოესი 3-4 წლისათვის უნდა დავისახოთ როგორც ამოცანა, რომ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გვეყოლოს დაახლოებით შემდეგი რაოდენობის ძროხა ცალკეული ზონების მიხედვით: განვითარებული მერძეული მეცხოველეობის რაიონებში, ისეთ რაიონებში, როგორიც არის, მაგალითად, რუსეთის სფსრ ცენტრალური ოლქები, უკრაინის ზოგიერთი ოლქი, ბელორუსია, ბალტიისპირეთი, — 20-25 ძროხა 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, მოლდავეთში უნდა ჰყავდეთ 15-20 ძროხა ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. სხვა რაიონებში, სადაც განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია მეცხვარეობისა და სახორცე მესაქონლეობის განვითარებისათვის, მაგალითად, ყაზახეთში, ყირგიზეთში, უზბეკეთში, თურქმენეთში, ტაჯიკეთში, სტავროპოლის მხარეში, ორენბურგის, ჩიტისა და რუსეთის სფსრ ზოგიერთ სხვა ოლქებში მერძეული ძროხის სულადობა, ჩანს, შეიძლება რამდენადმე ნაკლები იყოს.

სწორად იქცევიან ის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც სპეციალურ ბრიგადებსა და ფერმებს ქმნიან უშობლების გასაზრდელად, ყველა პირობას უზრუნველყოფენ იმისათვის, რომ კარგი მეწველი ძროხები მიიღონ. საჭიროა კატეგორიულად აიკრძალოს როგორც უვარგისი, კოლმეურნეობებისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის მავნე ის პრაქტიკა, როცა სახორცედ კლავენ მერძეული ჯიშის შესავსებად გამოსადეგ უშობლებს.

საჭიროა აგრეთვე ვვახსოვდეს, რომ ვერც ხორცის პრობლემა გადაიჭრება ისე, თუ მკვეთრად არ გავადიდეთ ძროხის სულადობა. როცა გავადიდებთ ძროხის რაოდენობას, გვეყოლება მეტი მოზარდეული, შესაძლებლობა გვექნება მეტი რაოდენობით გავასუქოთ მოზვრები და გავადიდოთ ჩვენი სახორცე რესურსები. ამავე დროს ბოლო უნდა მოეღოს ხელგაშლილ, უვარგისი, არასახელმწიფოებრივ მოქმედებას, როცა ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულს ხორცის კომბინატებს აბარებენ ადრეულ ასაკში და გაძვალტყავებულს. უნდა დავამკვიდროთ ისეთი წესი, რომ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეული, იმის მიხედვით, თუ რა ჯიშისაა, ჰყავდეთ მეურნეობაში ისეთ ასაკამდე, სანამ იგი ყველაზე რაციონალურად იყენებს საკვებს და იძლევა დიდ მატებას წონაში. უნდა შეწყდეს მიმდინარე წელს დაბადებული მოზარდეულის დაკვლა, გაიზარდოს იგი ორი, ცალკეულ მეურნეობებში კი სამი წლის ასაკამდე.

ბევრი მოზარდეული იკვლება ადრეულ ასაკში კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობებში, რომლებსაც ყოველთვის როდი აქვთ შესაძლებლობა გააჩერონ იგი უფრო ხნიერ ასაკამდე. ამ სულადობის დაცვა ნაადრევი დაკვლისაგან, გაზრდა და გასუქება შეიძლება უწინარეს ყოვლისა იმ გზით, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გააფართოონ მისი შესყიდვა. ასე იქცეოდნენ რუსეთის ფედერაციისა და სხვა რესპუბლიკების ბევრ ოლქში და, კერძოდ, მოლდავეთისა და უკრაინის სს რესპუბლიკებში, რამაც შესაძლებლობა მისცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გაეფართოებინათ ძროხის ხორცის წარმოება და ამავე დროს გაედიდებინათ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა ფერმებში.

საჭიროა აგრეთვე გვახსოვდეს, რომ ყველა სახეობის პირუტყვის სულადობის გადიდებით გადაიჭრება დიდძალი ორგანული სასუქის დაგროვების ამოცანაც, ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ამჟამად კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სულ უფრო მეტ მინერალურ სასუქს მოითხოვენ სახელმწიფოსაგან. ამავე დროს ბევრი მათგანი არ ეწევა ნაკელის დაგროვებას და სწორად შენახვას, რომელსაც, როგორც ცნობილია, აქვს მცენარისათვის საჭირო ყველა მასაზრდოებელი ნივთიერება — აზოტი, ფოსფორი, კალიუმი. თვითეული კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მოვალეა აგროვოს ნაკელი, ამზადოს კომპოსტები, პირუტყვისათვის დასაფენად გამოიყენოს დაკუწული ჩალა, ტორფი და სხვ. საჭიროა კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში იყოს ნაკელსაცავი, სწორად აწყობდნენ ნაკელს, რათა არ დაიკარგოს მასაზრდოებელი ნივთიერებანი.

1958 წელს ჩვენ მკვეთრად უნდა გავადიდოთ ხორცის წარმოება. ამის მიღწევა უწინარეს ყოვლისა შეგვიძლია მეღორეობის განვითარებით, რომელიც საშუალებას გვაძლევს ერთ წელიწადში გავადიდოთ ხორცის წარმოება ერთიორად და უფრო მეტად. სმოლენსკის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1957 წელს, ფართოდ გამოიყენეს რა ახალგაზრდა ღორები ერთჯერადი დაგოჭიანებისათვის, სწორად მოაწყეს მიღებული მოზარდეულის გასუქება, გაადიდეს ღორის ხორცის წარმოება კოლმეურნეობებში 2,6-ჯერ და საბჭოთა მეურნეობებში — თითქმის ორჯერ 1956 წელთან შედარებით, რამაც საშუალება მისცა მათ ჩაებარებინათ და მიეყიდათ სახელმწიფოსათვის 1,8-ჯერ მეტი ხორცი, ვიდრე 1956 წელს. ამასთან ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს დანახარჯი ღორის ხორცის წარმოებაზე და დიდი შემოსავალი მიიღეს მეღორეობისაგან იმით, რომ ფართოდ გამოიყენეს ღორების ბანაკური მოვლა-შენახვა და ძოვება კარტოფილის ნათესებში. გასულ წელს ოლქის კოლმეურნეობათა შემოსავალმა მეღორეობისაგან შეადგინა 150 მილიონ მანეთზე მეტი, მაშინ როცა 1956 წელს ეს შემოსავალი მხოლოდ 36,5 მილიონ მანეთს შეადგენდა. ის, რაც სმოლენსკის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გააკეთეს 1957 წელს, მისაწვდომია თვითეული ოლქისა და რესპუბლიკისათვის, თუ კი ჯეროვნად მოჰკიდებენ ხელს მეღორეობის განვითარებას.

ღორის ხორცის წარმოების მკვეთრად გადიდებასთან ერთად, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ღორის საბეკონედ გასუქებას, რადგან მსუქან ღორის ხორცსა და ქონს ყველა როდი ხმარობს საჭმელად. ბეკონი კი — ნაკლებად მსუქანი ღორის ხორცი — შეიძლება გავრცელდეს ჩვენი ქვეყნის მეტწილ რაიონებში. ამასთანავე ბეკონის წარმოება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უფრო იაფად უჯდებათ, ვიდრე მსუქანი ღორის ხორცისა. ამიტომ სავსებით სწორად იქცევიან ლატვიის, ესტონეთის, ლიტვის, რუსეთის სფსრ მოსკოვის, ნოვგოროდის, ტამბოვისა და პენზის ოლქების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც უკვე აწარმოებენ მათ მიერ მიღებული ღორის ხორცის საერთო რაოდენობის 30-60 პროცენტ ბეკონს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ 1957 წელს, ცხვრის სულადობისა და მატყლის წარმოების ერთგვარი გადიდების მიუხედავად, მეცხვარეობის განვითარების ჩვენში არსებული უდიდესი შესაძლებლობა სავსებით ვერ არის გამოყენებული და მეცხოველეობის ეს დიდმნიშვნელოვანი დარგი კვლავ თავმინებებულია ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონში. პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკლე ვადაში უნდა აღმოფხვრან ჩამორჩენა მეცხვარეობის განვითარებაში, მიაღწიონ ცხვრის სულადობის და მატყლის წარმოების მკვეთრ გადიდებას. ეს იმისათვის უნდა გაკეთდეს, რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მოთხოვნილება კარგ შალის ქსოვილებზე. ამასთან არ შეიძლება აგრეთვე დავივიწყოთ, რომ მეცხვარეობა ხორცის რესურსების გადიდების დიდი წყაროა, ხოლო ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონში ცხვრის ხორცი ურჩევნიათ სხვა სახეობათა ხორცს.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მეფრინველეობას. ეს მეცხოველეობის ყველაზე მალემწარმოე და ხელსაყრელი დარგია, რომელიც შრომის, საკვებისა და სახსრების მცირე დახარჯვით საშუალებას გვაძლევს მოკლე ვადაში მივიღოთ დიდი რაოდენობით ხაუკეთესო ხორცი და უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება კვერცხზე. მაგრამ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მეფრინველეობას ჯეროვნად არ აფასებენ და ჯერ კიდევ ცუდად არის გამოყენებული ქათმისა და წყალმცურავი ფრინველის მოშენების კოლოსალური შესაძლებლობა. ამიტომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს 1958 წელს ჰყავდეთ 2-3-ჯერ მეტი ქათამი და წყალმცურავი ფრინველი, ვიდრე 1957 წელს. ეს ამოცანა ძნელი არ არის, მისი გადაწყვეტა შეიძლება და იგი კიდევაც უნდა გადაწყდეს წარმატებით.

ჩვენში, სრულიად დაუმსახურებლად, ჯეროვნად არ აფასებენ მეკურდღლეობას. მეკურდღლეობა მეურნეობის მეტად შემოსავლიანი დარგია. ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მთელი რიგი წლების მანძილზე წარმატებით მისდევს მეკურდღლეობას და მცირე დანახარჯით იღებს ბევრ ხორცსა და დიდ შემოსავალს. გარდა ამისა, იგი იძლევა ძვირფას ტყავსა და ღინღლს.

ჩვენს ქვეყანაში კვების რესურსების შევსების სერიოზული წყარო შეიძლება იყოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საგუბურე თევზმომშენებლობა. სოფლის მეურნეობის ეს დარგი, თუ სწორად არის მოწყობილი, ცოტა შემოსავალს როდი იძლევა და შრომის დიდ დანახარჯს არ მოითხოვს. ბევრი კოლმეურნეობა ინტენსიურად იყენებს გუბურებსა და წყალსატევებს თევზის მოსაშენებლად, თვითეულ ჰექტარ წყლის ფართობზე იღებს 10-15 ცენტნერ თევზს და 7-10 ათას მანეთ შემოსავალს თვითეულ ჰექტარ გუბურაზე, სადაც თევზია მოშენებული.

ახლა, როცა ჩვენი სოფლის მეურნეობა მკვეთრ აღმავლობას განიცდის, ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ აგრეთვე მეფუტკრეობა. თაფლი დიდად გვესაჭიროება. მეფუტკრეობა იქ, სადაც იგი კარგად არის დაყენებული და კეთილსინდისიერ, ამ საქმის მოყვარულ ადამიანებს აბარიათ, მეურნეობისათვის მეტად ხელსაყრელია, დიდ შემოსავალს იძლევა. მეფუტკრეობა აგრეთვე დიდ როლს ასრულებს ხილ-კენკრისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში. ამავე დროს სოფლის მეურნეობის ამ დარგს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბევრი ხელმძღვანელი ჯეროვნად არ აფასებს.

უნდა განვავითაროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგი, რათა უახლოეს 2-3 წელიწადში საჭირო რაოდენობით გვქონდეს სულ ყველა პროდუქტი, რომელიც საჭიროა ჩვენი მომხმარებლისათვის, ქალაქისა და სოფლის მშრომელებისათვის.

ამ უკანასკნელ წლებში სოფლად განსაკუთრებით ფართოდ გაჩაღდა მეცხოველეობისა და სხვა საწარმოო შენობების, საცხოვრებელი სახლების, საზოგადოებრივ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობა. ეს მოძრაობა ყოველგვარი მხარდაჭერის ღირსია. ჩვენ უნდა ვაშენოთ ბევრი, კარგად და იაფად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო იწონებენ იმ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების თაოსნობას, რომლებიც აჩაღებენ რა მშენებლობას, ამავე დროს გადაჭრით ებრძვიან ყოველგვარ ზედმეტობას ამ საქმეში, ფართოდ იყენებენ ადგილობრივ საშენ მასალებს. ეს საშუალებას გვაძლევს იმავე სახსრებით ავაშენოთ მეტი საცხოვრებელი სახლები, მეცხოველეობისა და სხვა შენობები. დროა მივაქციოთ ყურადღება სოფლად, იქ, სადაც ამისათვის არის შესაბამისი პირობები, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო ბაგებისა და ბაღების, სამშობიარო სახლების, კლუბების, პურის საცხობების, საზოგადოებრივი სასადილოების, აბანოების, ღრმა მოხუცთა სახლების მშენებლობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ მთავარი, რამაც უნდა უზრუნველყოს დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრა, არის იმის უნარი, რომ მოწინავე ადამიანების, მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, ბრიგადების მიღწევა გავხადოთ ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კუთვნილება, რათა ადამიანებს მიღწევის ახალ-ახალი ფაქტებით ვასწავლოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის უფრო ინტენსიური გაძღოლა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უნარიანად გამოყენება, კონკრეტულად ვაჩვენოთ იმ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მტს-ში, ბრიგადაში, რომლის გამოცდილებასაც სწავლობენ, რა არის სახელდობრ მოწინავე და როგორ არის იგი მიღწეული.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობა წარმართული უნდა იყოს ყოველივე ახლის, მოწინავის მხარდაჭერისაკენ. რატომ ხდება, რომ ძვირფასი რამ, რაც შექმნილია ერთ კოლმეურნეობაში, არ ხდება სხვების კუთვნილება? მთელი საქმე ის არის, რომ სუსტია ორგანიზატორული მუშაობა. ჩვენში ხშირად პარტიული ორგანიზაციები თავის ამოცანებს იმით ზღუდავენ, რომ მოუწოდებენ გადაიღონ ახალი რამ. ეს კი ცოტაა. საჭიროა არა მარტო მოწოდება, არამედ ახლისათვის მხარდაჭერის მოწყობა.

განყენებული მოწოდება რომ არ იქნას, საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადის გამოცდილება გახდეს ამ კოლმეურნეობის ყველა ბრიგადის კუთვნილება, მოწინავე კოლმეურნეობის გამოცდილება გავხადოთ რაიონის ყველა კოლმეურნეობის კუთვნილება, ხოლო მოწინავე რაიონის გამოცდილება უნდა იქნას ოლქის ყველა რაიონის კუთვნილება. საჭიროა, რომ ადამიანებმა იცოდნენ, რა არის ამა თუ იმ ბრიგადაში, კოლმეურნეობაში თუ რაიონში მოწინავე. ამისათვის საჭიროა მოეწყოს პარტიული ხელმძღვანელების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების წასვლა მოწინავე მეურნეობებში, არ უნდა დავჯერდეთ მოკლე ხნით მისვლას, არამედ დაწვრილებით გავარჩიოთ და შევისწავლოთ მეურნეობის გაძღოლის გამოცდილება, რა გზით და მეთოდით არის იქ მოპოვებული მაღალი მაჩვენებლები. თვით კოლმეურნეობაში მოწინავე გამოცდილების ასეთი გარჩევის შემდეგ სასარგებლო იქნება რაიონული მუშაკებისათვის წავიდნენ დიდი ხნით განსაზღვრულ კოლმეურნეობებში, კოლმეურნეებთან ერთად შეადგინონ მათი მეურნეობის აღმავლობის დაწვრილებითი გეგმა. გეგმაში გაითვალისწინონ, რა ღონისძიება და რა ვადაში უნდა განხორციელდეს, დააწესონ, ვინ აგებს პასუხს ამა თუ იმ მუშაობისათვის. მაგრამ გეგმის შედგენის შემდეგ მთავარია მისი შესრულების ორგანიზაცია და კონტროლი იმისადმი, თუ დღითიდღე პრაქტიკულად როგორ ხორციელდება დასახული ღონისძიებანი. საჭიროა, რომ კოლმეურნეები კრიტიკულად ეკიდებოდნენ კოლმეურნეობის საქმეთა მდგომარეობას და ანგარიშს სთხოვდნენ თვითეულს მისთვის მინდობილი სამუშაოსათვის. წარმოებაში მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის ბრძოლა ის არის, რომ მოწინავეთა წარმატებიდან გადავიდეთ რაიონის, ოლქის, რესპუბლიკის მთელი სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობაზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, როგორც წინათ, გადამწყვეტ საკითხად სოფლის მეურნეობის აღმავლობაში კვლავ მიაჩნიათ კადრების შერჩევა. ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობისას დიდი სხვაობაა ცალკეულ ოლქებში, რაიონებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების დონის მხრივ. ეს სხვაობა აიხსნება არა ნიადაგისა და კლიმატის და სხვა ობიექტური პირობებით, რომლებიც, რა თქმა უნდა, არსებობენ, არამედ უმთავრესად ეს აიხსნება ხელმძღვანელობის დონით. ნიადაგისა და კლიმატის თანასწორი პირობებისას ჩვენ შეგვიძლია ერთ ოლქში ან ერთ რაიონშიც კი დავინახოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის სულ სხვადასხვანაირი დონე. ეს არის ბრიგადისადმი, კოლმეურნეობისადმი, საბჭოთა მეურნეობისადმი, რაიონისადმი ხელმძღვანელობის სხვადასხვა დონის შედეგი.

ამიტომ ხელმძღვანელი კადრების როგორც პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო კადრების, აგრეთვე ყველა იმ ადამიანის შერჩევის გაუმჯობესება, რომლებზეც დამოკიდებულია მუშაობის ორგანიზაცია, როგორც წინათ, ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

გასულ ოთხ წელიწადში უშუალოდ კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიგზავნა ათიათასობით კვალიფიციური აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ვეტერინარი, ინჟინერი, მელიორატორი და სხვა სპეციალისტი. მათ უკვე შეძლეს თავიანთი თეორიული ცოდნა გამოეყენებინათ პრაქტიკაში, შეესწავლათ მუშაობის თავისი უბნის კონკრეტული პირობები და ამით მომზადებულიყვნენ უფრო რთული ამოცანების გადაჭრისათვის. საჭიროა სწორად გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, გავაძლიეროთ მათი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, მეტი რჩევა ვკითხოთ მათ. ამ კადრებს ჩვენს ოქროს ფონდთან ერთად — შესანიშნავ პრაქტიკოსებთან — კოლმეურნეობათა თავმ-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა

(დასასრული)

ჯდომარეებთან, მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებთან, განყოფილებების, ფერმების მმართველებთან და სატრაქტორო და მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირებთან ერთად, უნარი შესწევთ კვალიფიციურად გადაჭრან რთული ამოცანები სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში. ახლა უკვე შეიძლება დავეყრდნოთ ამ კადრებს, რადგან ვიცით, რომ ისინი უნარიანად გადაწყვეტენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს. ახლა არის შესაძლებლობა და საჭიროება რაც შეიძლება მეტი ინიციატივა მივანიჭოთ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, მივცეთ შესაძლებლობა სათანადოდ გამოიჩინონ ცოდნა და გამოცდილება.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ გვყავს კოლმეურნეობათა სუსტი თავმჯდომარეებიც. უნდა შევიგნოთ, რომ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების პოსტზე ყველაზე ნიჭიერი ორგანიზატორების დაწინაურება კოლმეურნეობათა ორგანიზაციულად განმტკიცებაში იყო და არის დიდმნიშვნელოვანი ამოცანა. აქედან გამომდის, რომ კოლმეურნეობის განმტკიცება კადრებით რაღაც მოკლე ხნის პროცესი როდია, არამედ ყოველდღიური, უაღრესად არსებითი საქმეა მეურნეობის ხელმძღვანელობაში.

ყოველი ოლქის ბევრ რაიონში კიდევ არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობები. ჩვენ ძლიერ ბევრი უნდა ვიშრომოთ, რომ ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ავიყვანოთ მოწინავეთა დონეზე. ყურადღება უნდა მივაქციოთ ახლად შექმნილი საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-მეურნეობრივ განმტკიცებას, ამისათვის კი საჭიროა უწინარეს ყოვლისა გავაუმჯობესოთ ორგანიზატორული მუშაობა სოფლად, მზრუნველობით აღვზარდოთ კოლმეურნეები, მერგოლეურები, ბრიგადირები და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები. ჩვენ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი ადამიანებთან და განსაკუთრებით კოლმეურნეობათა ხელმძღვანელ კადრებთან მუშაობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო პარტიული და საბჭოთა ორგანოების, ყველა სოფლის კომუნისტისა და კომკავშირელის განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ კოლმეურნეებთან, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებთან მუშაობის გაძლიერებას. საბჭოთა ადამიანი არის ჩვენი გეგმების ნამდვილი შემოქმედი, მთელი ჩვენი სიმდიდრის შემქმნელი. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი კოლმეურნე თავს გრძნობდეს საარტელო მეურნეობის ნამდვილ პატრონად, რომ ისინი ზრუნავდნენ მისთვის, როგორც თავისი ყველაზე მშობლიური და მახლობელი საქმისთვის. სოფლად გაიზარდა შესანიშნავ ადამიანთა მთელი არმია. სოფლის მეურნეობის განვითარებაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის სოფლის ათასობით მშრომელი დაჯილდოებულია ორდენებით და მედლებით. მათ შორის არიან მოწინავე კოლმეურნეები, მუშები, მერგოლეურები, ბრიგადირები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები. ეს დიდი ძალაა. თუ პარტიული ორგანიზაციები მეტი სიყვარულით მოეპყრობიან თვითეულ მშრომელს, წაახალისებენ მას, ფართოდ ჩააბამენ კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის წარმოების განვითარების საკითხების გადაჭრაში, სოფლის შემოქმედებითი ცხოვრება უფრო მეტ სიმაღლეზე ავა, ეს კი სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების განხორციელების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა.

იმ დიდი ამოცანების განხორციელება, რომლებიც 1958 წელს დასახულია კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშე, დაძაბულ მუშაობას მოითხოვს. საჭიროა სანიმუშოდ მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის, კარგად გამოვაზამთროთ პირუტყვი. პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კადრების სწავლებას, ტექნიკის რემონტს, თესლის გაწმენდასა და შენახვას და მიმდინარე მუშაობის სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

ამხანაგო კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებო, პარტიულო, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის მუშაკებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მოგმართავენ რა ამ წერილით, იმედი აქვთ, რომ ყოველ ღონისძიებას მიიღებთ, რათა 1958 წელს მოიპოვოთ ახალი დიდი წარმატება სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობაში, სოფლის მეურნეობის მშრომელთა მიერ წამოყენებული ამოცანის გადაჭრისათვის ბრძოლაში — უახლოეს დროში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი კვლავაც თავდადებით იბრძოლებენ სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოების გადიდებისათვის და თავის ღირსეულ წვლილს შეიტანენ მოსახლეობისათვის სურსათისა და მსუბუქი მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის მიღწევაში.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

## საქართველოს ალკკ XXII ყრილობაზე

საქართველოს კომკავშირის XXII ყრილობის 20 იანვრის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

კამათში გამოვიდნენ: კომკავშირის ახალციხის რაიკომის მდივანი ამხ. ო. მესხიძე, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. კობახია, საქართველოს სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. მ. იაშვილი, კომკავშირის გორის რაიკომის მდივანი ამხ. ლ. კიკნაძე, კომკავშირის დმანისის რაიკომის მდივანი ამხ. ბ. ყარალოვი, კომკავშირის ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ზ. ნადარეიშვილი.

მოისმინეს და დაამტკიცეს სამანდატო კომისიის მოხსენება.

განახლებულ კამათში მონაწილეობა მიიღეს კომკავშირის მახარაძის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ბალათურიამ, კომკავშირის ბორჯომის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. გელაშვილმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. ო. ჩიჩელაშვილმა, საქართველოს ოლქის სასაზღვრო ჯარების პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილემ კომკავშირის ხაზით ამხ. გ. ლებედევმა, თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ამხ. ზ. ნაზარიშვილმა.

ყრილობის მონაწილეებს მიესალმნენ ქალაქ თბილისის შრომითი რეზერვების სკოლების აღსაზრდელები.

დელეგატები გულთბილად შეხვდნენ ყრილობის სტუმრების — აზერბაიჯანის ახალგაზრდობის დელეგაციის ხელმძღვანელის — აზერბაიჯანის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ა. ვეზიროვის და მამაცი კურსკელი მეომრების დელეგაციის ხელმძღვანელის საბჭოთა კავშირის გმირის პოლკოვნიკ მ. დიასამიძის გამოსვლას.

ამით დამთავრდა ყრილობის საღამოს სხდომა.

# თბილისის XXVII საქალაქო პარტიული კონფერენცია

გაიმართა თბილისის XXVII საქალაქო პარტიული კონფერენცია.

კონფერენციაზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **გ. გეგეშიძემ**. სარევიზიო კომისიის ანგარიში გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **დ. აბუთიძემ**. მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი.

აღნიშნა რა სტალინის რაიონის საწარმოთა მიერ მიღწეული წარმატებანი, პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. გოშაძემ** თქვა, რომ სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში იყო სერიოზული ნაკლოვანებანი. ძირითად ყურადღებას აქცევდნენ რა საერთო პროდუქციის გეგმის შესრულებას, პარტორგანიზაციები ჯეროვნად არ ზრუნავდნენ იმაზე, რომ ამავე დროს შესრულებინათ ასორტიმენტის გეგმა, სისტემატური, ყოველდღიური ბრძოლა ეწარმოებინათ პროდუქციის ხარისხისათვის. ამაში თავი იჩინა პარტიის რაიკომის მიერ პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებმა.

ამხ. გოშაძემ მოიყვანა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ რაიონის მთელ რიგ დაწესებულებებსა და საწარმოებში ირღვევა კადრების შერჩევის ლენინური პრინციპი. ცეკავშირში, საზოგადოებრივი კვების № 2 ტრესტში მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე ნიშნავენ ადამიანებს, რომლებიც წინათ სისხლის სამართლის პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი დატაცებისათვის. საჭიროა გაძლიერდეს სიფხიზლე სავაჭრო საწარმოებში კადრების შერჩევის დროს.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი **დ. მჭედლიძე** შეეხო საკითხებს, დაკავშირებულს ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მომზადებასთან, რომელიც მოსკოვში გაიმართება. მან ილაპარაკა აგრეთვე იმაზე, რომ ქალაქის კლუბებსა და კულტურის სახლებში ყურადღება არ ექცევა შენობების სანიმუშოდ შენახვას. ბევრ მათგანში ჭუჭყია, სცენები ამოვსებულია სხვადასხვა საგნებით, მუსიკალური ინსტრუმენტები გაფუჭებულია. გასაკვირველი არ არის, რომ ქალაქის მშრომელები ხალისით არ დადიან ამ დაწესებულებებში.

„მთავართბილისმშენის" უფროსმა **გ. ქართველიშვილმა** თავისი სიტყვა მიუძღვნა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ქალაქში საბინაო მშენებლობის ხელმძღვანელობის რეორგანიზაციასთან. ქალაქის მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციების ერთ ორგანიზაციად გაერთიანებამ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ტემპების დაჩქარებაზე. მიღწეულია ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შემცირება, შემცირდა მშენებლობის თვითღირებულება. მაგრამ პარტიისა და მთავრობის მიერ საბინაო მშენებლობის დარგში დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის საჭიროა სამშენ მასალათა მწარმოებელი მძლავრი ბაზა. ქალაქში ასეთი ბაზა არ არის. მშენებლები ასაწყობი რკინაბეტონის, მსხვილი და წვრილი საკედლე ბლოკების, სადურგლო ნაკეთობებისა და ლითონკონსტრუქციების მწვავე ნაკლებობას განიცდიან. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს სხვადასხვა სახის სამშენ მასალების წარმოების უსწრაფესად განვითარებას ქალაქში. ამავე დროს ამხ. ქართველიშვილი აკრიტიკებს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სამშენ მასალათა სამმართველოს იმისათვის, რომ მისდამი დაქვემდებარებული საწარმოები მშენებლობებს აწვდიან არაკეთილხარისხოვან აგურს, კრამიტსა და სხვა სამშენ მასალებს. იგი აღნიშნავს, რომ ქალაქის საპროექტო დაწესებულებებს დღემდე არ შეუმუშავებიათ საცხოვრებელი სახლების ეკონომიური ტიპური პროექტები.

ელექტრომავალმშენებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანმა **გ. სამხარაძემ** აღნიშნა, რომ გასული წელი ღირსშესანიშნავი იყო საწარმოს კოლექტივისათვის. იგი შეუდგა მძლავრი მაგისტრალო ელექტრომავლების გამოშვებას. ეს დიდ პერსპექტივებს უსახავს ქარხანას.

— ჩვენი წარმატებანი მუშაობაში უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, — თქვა ამხ. სამხარაძემ, — ქარხანა უკეთ რომ მარაგდებოდეს მასალებით. ჩვენ დღემდე არა გვაქვს ფონდები ზოგიერთი ნაკეთობისათვის.

ამასთან დაკავშირებით ამხ. სამხარაძემ გააკრიტიკა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგების სამმართველო და „გლავნიმსბიტის" თბილისის კანტორის სამმართველო, რომლებიც სუსტად იყენებენ მათთვის მინიჭებულ უფლებას მომარაგონ საწარმოები ფონდების მიღებამდე.

პარტიის კიროვის რაიკომის მდივანმა **ვ. სირაძემ** აღნიშნა, რომ პარტიული აპარატის სტრუქტურის გარდაქმნამ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებაზე, მასებთან კავშირის განმტკიცებაზე. მაგრამ რაიკომის აპარატის მუშაკები ჯერ კიდევ ბევრ დროს ხარჯავენ მრავალი ცნობის, მოხსენებითი ბარათების შედგენაზე, ხოლო ნაკლებად ეწევიან ორგანიზატორულ მუშაობას ადამიანებთან. ასეთივე სენი სჭირს თბილისის საქალაქო კომიტეტსაც.

ამის დასადასტურებლად ამხ. სირაძეს ასეთი ფაქტი მოჰყავს. 1957 წლის აგვისტოდან თბილისის რაიკომები ახალი სტრუქტურით მუშაობენ, საქალაქო კომიტეტმა კი ვერ მოიცალა საჭირო დახმარება გაეწია მათთვის გარდაქმნის განხორციელებაში.

ამხ. სირაძე აკრიტიკებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს მისი სამეურნეო შეუწყნარებელი დაქუცმაცებისათვის, რომელიც ხელსაყრელ გარემოებას უქმნის ბოროტმოქმედებს.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის დირექტორმა **ნ. კიზირიძემ** სწორად ცნო კრიტიკა საწარმოთა ხელმძღვანელების მისამართით. მან გააცნო კონფერენციას ღონისძიებები, რომლებიც მიღებულია ქარხნის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და 1958 წლის სახელმწიფო გეგმის უთუოდ შესრულებისათვის.

პროფკავშირული მუშაობის გარდაქმნის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების საკითხების მიუძღვნა თავისი გამოსვლა კამვოლ-მაუდის კომბინატის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ **ვ. ცისხვაიამ**. მან თქვა, რომ კომბინატის ადმინისტრაცია ვერ ასრულებს ვალდებულებებს კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით და ეს გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე. მაგალითად, კომბინატის მუშებს ცუდად უზრუნველყოფენ საჭირო ინსტრუმენტით. კომბინატში მუშათა დიდი დენადობაა.

შეეხო რა კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის იდეურ აღზრდას, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **ვ. კაჭარავამ** აღნიშნა, რომ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ამ მუშაობის ნაკლოვანებები. ბევრ სკოლაში ჯერ კიდევ დაბალია წარმატების დონე, სუსტია მოსწავლეთა დისციპლინა. უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის პიონერული ორგანიზაციების მუშაობას. უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირის კომიტეტები სუსტად ეყრდნობიან სტუდენტობის ფართო აქტივს. აღმოფხვრილი არ არის იმის ფაქტები, რომ ცალკეული კურსდამთავრებულები უარს ამბობენ სამუშაოდ წასვლაზე განაწილების მიხედვით.

წარჩინებული ხარატი **ნ. როდონაიშვილი** შეეხო 26 კომისრის რაიონის კეთილმოწყობის საკითხებს. მან გააკრიტიკა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ქალაქის განაპირა უბნების ჯეროვანი წესრიგის დამყარების სამუშაოს ნელი ტემპისათვის.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრმა **თ. დავითაშვილმა** თქვა, რომ თბილისში არის 600-მდე ავტომეურნეობა, რომელთა უდიდეს უმრავლესობას 2-10 ავტომანქანა აქვს. ასეთი დაქსაქსულობა იმას იწვევს, რომ სატვირთო მანქანების გარბენთა 50-მდე პროცენტი უტვირთოა. ბევრი მანქანა დროის მნიშვნელოვან ნაწილს გამცდარია. ჩვენი ქვეყნის სხვა დიდი ქალაქების მაგალითისამებრ უნდა გარდაიქმნას სატვირთო ტრანსპორტის მუშაობა.

თავის გამოსვლაში ამხ. დავითაშვილმა აღიარა, რომ ქალაქის ავტოტრანსპორტით მგზავრების მომსახურებაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. სამწუხაროდ, მას არაფერი არ უთქვამს იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებს იღებენ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატმა 1957 წლის მესამე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში მოიპოვა პირველი ადგილი და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. კომბინატის დირექტორმა **ე. თავაძემ** ილაპარაკა კოლექტივის ბრძოლაზე მაღალი ეკონომიური მაჩვენებლებისათვის. ამავე დროს მან გააკრიტიკა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამმართველოები, რომლებმაც გააჭიანურეს 1958 წლისათვის შემუშავებული გეგმების გადაცემა საწარმოებისათვის.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსმა **ი. გეტაშვილმა** თავის სიტყვაში მოიყვანა საინტერესო მონაცემები, რომლებიც მოწმობენ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას. გასულ წელს ქალაქში საქონელბრუნვის გეგმა 106,7 პროცენტით შესრულდა. 1956 წელთან შედარებით საქონელბრუნვა 378 მილიონი მანეთით გადიდდა. გადიდება ძირითადად ხდებოდა სამრეწველო და სასურსათო საქონლის გაყიდვის ხარჯზე.

შემდეგ ამხ. გეტაშვილი აკრიტიკებს საგალანტერეო ფაბრიკა „კომსომოლკას", ფაბრიკა „საქტრიკოტაჟს", აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკის მუშაკებს, რომლებიც სავაჭრო ორგანიზაციებს ხშირად არაკეთილხარისხოვან ნაკეთობას აწვდიან.

მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ვ. ჯანჯღავამ** ილაპარაკა იმ საწარმოთა მუშაობაზე, რომლებმაც ვადამდე, 17 დეკემბრისათვის შეასრულეს გასული წლის გეგმა და ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს 45 მილიონი მანეთის პროდუქცია, იმ ღონისძიებებზე, რომლებიც რაიონის კეთილმოწყობისათვის განხორციელდა, და შეეხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებს.

— საანგარიშო პერიოდში, — განაცხადა ამხ. ჯანჯღავამ, — ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ რაიონის კეთილმოწყობისათვის, მაგრამ ამ სამუშაოთა ტემპები ვერ აკმაყოფილებს ცხოვრების მოთხოვნილებებს. საჭიროა ყაირათიანად იქნას გამოყენებული ამ მიზნებისათვის ასიგნებული სახსრები. მაგალითად, ცნობილია, რომ ქუჩების კეთილმოწყობისათვის გაღებული მთელი სახსრების 50-მდე პროცენტი ბორდიურებს ხმარდება. მათი მშენებლობა ძალიან ძვირი ჯდება — ერთი გრძივი მეტრი 65 მანეთი. საკითხავია, რატომ არ შეიძლება დამუშავდეს მექანიზაცია, რომ წარმოებულ სამუშაოებზე გაწეული სახსრები თუნდაც ერთნახევარჯერ-ორჯერ შევამციროთ?

თავის გამოსვლაში ამხ. ჯანჯღავამ გამოთქვა მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები პარტიის საქალაქო კომიტეტის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების მისამართით. მან თქვა, რომ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების მუშაკებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ცოცხალ ხელმძღვანელობას, ადგილებზე საქმის მდგომარეობის შესწავლას. მან აგრეთვე თქვა, რომ საჭიროა გადაისინჯოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების შტატები, რომ ისინი შეესაბამებოდეს რაიაღმასკომების წინაშე მდგომ ამოცანებს.

ტრიბუნაზეა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ზეინკალი **პ. ბედინაშვილი**. პარტიული კონფერენციის დელეგატებს მან უამბო იმის შესახებ, რომ საწარმოს კოლექტივმა ვადაზე ადრე შეასრულა წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა ხუთი ორთქლმავალი, ექვსი სამგზავრო ვაგონი და ბევრი სათადარიგო ნაწილები. მიმდინარე წელს ქარხნის კოლექტივის წინაშე ახალი ამოცანები დგას. პირველ კვარტალში ათვისებულ უნდა იქნას მოტორიზებული სავაგონო სექციების, მთლიანლითონის ვაგონებისა და ელექტრომავლების რემონტი. კოლექტივმა ვალდებულება იკისრა იანვრის დამლევამდე რემონტიდან გამოუშვას პირველი მოტორიზებული სავაგონო სექცია.

პარტიის ოქტომბრის რაიკომის პირველმა მდივანმა **შ. დოლიძემ** თავის გამოსვლაში ძირითადი ყურადღება მიაპყრო პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხებს. მან აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში გაიზარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა. ისინი ახლა უკეთ ეწევიან ორგანიზაციულ მუშაობას, მშრომელთა აღზრდას, შესამჩნევად გაძლიერდა მათი როლი და პასუხისმგებლობა მეურნეობის ხელმძღვანელობაში.

აღნიშნა რა ის ახალი, დადებითი, რაც პარტიის რაიკომის აპარატის სტრუქტურის გარდაქმნამ გამოიწვია, ამხ. დოლიძემ თქვა, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი არსებითად არ ეწევა პარტიული კომიტეტების ახლებურად, უგანყოფილებოდ მუშაობის გამოცდილების შესწავლასა და განზოგადებას. საჭიროა რაიკომის ინსტრუქტორების პერიოდულად შეკრება, გამოცდილების გაზიარებისათვის თათბირების მოწყობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებასთან დაკავშირებული დიდმნიშვნელოვანი საკითხები დააყენა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ **ა. ბუკოვმა**. მან თქვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებამ აამოქმედა ჩვენი არმიის უდიდესი შინაგანი ძალები, გააძლიერა კომუნისტების აქტივობა, გაზარდა მებრძოლი სული პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში, გააძლიერა მათი გავლენა ნაწილებისა და ქვედანაყოფების ცხოვრების ყველა მხარეზე. კომუნისტები ამჟამად უფრო მწვავედ აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს პირადი შემადგენლობის სწავლებასა და აღზრდაში და იმათ, ვისაც კონკრეტულად მიუძღვის ბრალი ამ ნაკლოვანებებში.

— პარტიის საქალაქო კომიტეტმა, — თქვა ამხ. ბუკოვმა, — უფრო ხშირად უნდა მოაწყოს ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების გამოსვლა სამხედრო ნაწილებში. აგრეთვე საჭიროა, რომ სამხედრო მოსამსახურეთათვის ლექციებს კითხულობდნენ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები, რომ რეგულარულად ეწყობოდეს ქალაქის ახალგაზრდობის, მშრომელების შეხვედრა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნებთან.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. მელაძემ** თავისი გამოსვლა მიუძღვნა საბინაო მშენებლობის, ქალაქის კეთილმოწყობის, მოსახლეობის წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგების საკითხებს, იმ ამოცანებს, რომლებიც ამ მიმართულებით უნდა გადაიჭრას. მან აღნიშნა, რომ ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს საწარმოებმა ვადაზე ადრე შეასრულეს გასული წლის გეგმა, გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 24,9 მილიონი მანეთის პროდუქცია. საკმაოდ კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხვა სამმართველოებმა და ტრესტებმაც. გადაჭარბებით შესრულდა წყალსადენის მაგისტრალების, საკანალიზაციო კოლექტორების გაყვანის, ელექტროქსელის გაფართოების, გზების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის, ხეივნებისა და ბუჩქების დარგვის გეგმები და სხვ.

შეეხო რა საბინაო მშენებლობის საკითხებს, ამხ. მელაძემ სწორად ცნო კრიტიკა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მისამართით, რომელმაც ძალიან ცუდად უზრუნველყო ქალაქში ვერ უზრუნველყო საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვალდებულებათა შესრულება. ანალიზი გაუკეთა რა ვალდებულებათა შეუსრულებლობის მიზეზებს, მან თქვა, რომ ერთ-ერთი მათგანია მშენებლობათა არასაკმაო მომარაგება მასალებით, სახსრებისა და ტექნიკის დაქსაქსვა მრავალრიცხოვან ობიექტებზე, მათ შორის სამრეწველო მშენებლობაზე.

— დღემდე, — თქვა ამხ. მელაძემ, — ჩვენ ჯეროვან ყურადღებას არ ვაქცევდით ახალი საბინაო მშენებლობის რაიონების კეთილმოწყობას. შემდეგში საჭიროა მუშაობის გადაჭრით გარდაქმნა და, როგორც წესი, ახალი საბინაო მშენებლობის ტერიტორიებზე გზების, წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის წინასწარ გაყვანა, ამ რაიონებში სკოლების, სავაჭრო-მყოფობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვადასხვა ობიექტების აშენება.

თავის გამოსვლაში ამხ. მელაძემ გააკრიტიკა ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტი, რომელმაც დროზე ვერ დამთავრა ბულაჩაურის წყალსადენის საინფილტრაციო მოედნების მშენებლობა. ილაპარაკა რა წყალმომარაგების დარგში არსებულ მდგომარეობაზე, მან თქვა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება განხორციელდეს საპროექტო-საძიებო სამუშაოები ხრამის ხეობის წყლის რესურსების გამოსაყენებლად.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე დიდი ამოცანები დგას ყარაღაის გაზის ოისალებად მომზადების დარგში.

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საკითხებს შეეხო თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **ვ. კუპრაძე**.

— ჩვენ ვფიქრობთ, — თქვა მან, — რომ საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესდა მუშაობა სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის დარგში. საქალაქო პარტიულ კონფერენციას თბილისის უმაღლესი სასწავლებლები გარკვეული წარმატებებით შეხვდნენ. ამან თავი იჩინა აკადემიური წარმატების ამაღლებით. გადიდდა კონტინგენტი სტუდენტებისა, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან სახელმწიფო სტიპენდიებით.

ამხ. კუპრაძემ დიდი ყურადღება დაუთმო წარმოებასთან უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდობის ურთიერთობის განმტკიცების საკითხს. მან თქვა, რომ ქალაქის ტექნიკური ინსტიტუტების სტუდენტები მეტ მონაწილეობას უნდა იღებდნენ კვლევაში, რომელსაც კათედრები ეწევიან ტექნოლოგიური პროცესების შესასწავლად საწარმოებში, ახალი მოწყობილობის დაპროექტებასა და კონსტრუირებაში, ნოვატორთა გამოცდილების განზოგადებაში. სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები მოვალენი არიან უფრო კონკრეტულად ეხმარებოდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს წარმოების ყველა დარგის განვითარებაში.

ამხ. კუპრაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი სუსტად ზრუნავენ სტუდენტი ახალგაზრდობის საჭიროებათათვის. მან დააყენა საკითხი ახალი საერთო საცხოვრებლების აგების, სტუდენტთა ქალაქში სანიმუშო წესრიგის დამყარების საჭიროების შესახებ.

თამბაქოს № 1 ფაბრიკის კოლექტივის შრომითი საქმეების შესახებ ილაპარაკა კონფერენციაზე მექანიკოსმა **ა. ქოქრაშვილმა**. მან აღნიშნა, რომ მეთამბაქოეებმა გეგმა ვადაზე ადრე, 19 დეკემბრისათვის, შეასრულეს და რომ ამაში მცირე დამსახურება როდი მიუძღვის პირველადს პარტორგანიზაციას.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. მჟავანაძემ**. აღნიშნა რა, რომ 1957 წელს ჩვენმა ქვეყანამ ახალი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ კომუნიზმის გზაზე, რომ ამ წელს სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს დედაქალაქ თბილისის მშრომელებმაც, მან კონფერენციის დელეგატთა ყურადღება მიაპყრო გადაუჭრელ ამოცანებს.

ამხ. მჟავანაძემ აღნიშნა, რომ კონფერენციაზე არაფერი არ უთქვამთ იმის შესახებ, რომ ქალაქის ბაზებსა და საწყობებში დევს 100 მილიონ მანეთისაზე მეტი საქონელი, რომლის გასაღება შეუძლებელია მისი დაბალი ხარისხის გამო. ეს სერიოზული ნაკლოვანებაა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობაში. 1957 წელს მშენებლებმა ქალაქის მოსახლეობას დააკლეს 15 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ესეც დიდი ნაკლოვანებაა. 1958 წელს ქალაქის მშენებლებმა არა მარტო უნდა შეასრულონ წლიური გეგმა, არამედ 1957 წლის დავალიანებაც დაფარონ.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაობის პრაქტიკაში იყო სერიოზული ნაკლოვანებანი. საქალაქო კომიტეტში რომ მოეწყოთ კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, უეჭველია, რომ თბილისელები დროზე მიიღებდნენ 15 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს. კარგი გადაწყვეტილება სინამდვილეში მაშინ იქნება კარგი, როცა იგი კარგად შესრულდება. მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება პარტიული ცხოვრების კანონი უნდა გახდეს.

უდავოა, ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს იდეოლოგიური მუშაობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ იგი კვლავ ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენს. ჩვენი ლექტორები, მომხსენებლები, აგიტატორები მუდამ დამაჯერებლად, მწვავედ და მიზანსწრაფულად როდი ეწევიან დიადი მარქსისტულ-ლენინური იდეების პროპაგანდას, ხოლო პარტიის საქალაქო კომიტეტი კონტროლს არ უწევს მათ გამოსვლებს, სათანადოდ არ ეხმარება მათ.

თბილისის წარსულ XXVI საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე საკმაოდ ბევრი კარგი გადაწყვეტილება იყო მიღებული. სამწუხაროდ, ისინი ცუდად სრულდება. სუსტად წარმოებს ბრძოლა სისუფთავისა და წესრიგისათვის ქალაქში. მაგალითად, ბევრი ითქვა ბრძოლაზე კვამლის წინააღმდეგ, რომელიც წამლავს ატმოსფეროს ქალაქში. ლაპარაკი და გადაწყვეტილება ბევრი იყო, საქმე კი ცოტა. პარტიის საქალაქო კომიტეტმა, საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სერიოზულად უნდა იმუშაონ იმისათვის, რომ საქართველოს დედაქალაქი თბილისი სანიმუშო ქალაქი გახდეს.

წარსულ კონფერენციაზე ბევრი ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საჭიროა მეტი ყურადღება ექცეოდეს ბავშვების აღზრდას, ლაპარაკი იყო პოლიტექნიკურ აღზრდაზე. ამ მიმართულებით ზოგი რამ გაკეთებულია, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ მოზარდი თაობის აღზრდისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ამბობს ამხ. მჟავანაძე, რწმენას გამოთქვამს, რომ ქალაქ თბილისის კომუნისტები, სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების ერთგულნი, უმოკლეს ვადაში აღმოფხვრიან მათ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და ახალ, 1958 წელს მიაღწევენ დიდ წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

# კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ და საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა გამო

### დეპუტატ დ. ნ. ლომაშვილის სიტყვა

ორატორი ლაპარაკობს იმ წარმატებაზე, რომელიც ბორჯომის რაიონის მშრომელებმა მოიპოვეს გასულ 1957 წელს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის სახელოვან წელს. ისევე როგორც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი, ისინი ძალების დაუზოგავად იბრძოდნენ ერთ სულ მოსახლეზე სოფლის მეურნეობის ...

... ტექნიკური კულტურებისა და ბოსტნეულის მოსავლიანობის მნიშვნელოვან გადიდებას. ვადამდე შესრულდა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩაბარების გეგმები.

მხურვალედ დაუჭირეს რა მხარი პარტიის მოწოდებას, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ, მეცხოველეობის ფერმების მუშაკებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ...

... დასასრულ დეპუტატმა ბერძენმა მხარი დაუჭირა სესიის განსახილველად წარმოდგენილ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმას და სახელმწიფო ბიუჯეტს.

### დეპუტატ ვ. ტ. ურუშაძის სიტყვა

...

### დეპუტატ ტ. ი. ალექსიშვილის სიტყვა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმა, რომელიც წარმოდგენილია უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად, ემყარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. მისი მიზანია ...

### დეპუტატ ვ. ნ. ჯიბლაძის სიტყვა

...

### დეპუტატ ი. ვ. ბერძენის სიტყვა

...

### დეპუტატ ო. გ. ბურდულის სიტყვა

...

### დეპუტატ ტ. ვ. ფოფხაძის სიტყვა

...

### დეპუტატ ჯ. ზ. მაჭავლიშვილის სიტყვა

...

... პოვის მარნეულის რაიონის მშრომელებმა 1957 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. მეექვსე ხუთწლედის მეორე წელს რაიონის საკოლმეურნეო სოფლების მშრომელებმა მიაღწიეს მარცვლეულის ...

... პირობებს. მაგალითად, გურჯაანის რაიონში არ გამოუყენებიათ უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის 18 სპეციალისტი, ზესტაფონის რაიონში კი — 15. ეს იმ დროს, როცა მეტ წილ ფერმის გამგეებსა და ბრიგადირებს ამ რაიონებში დაბალი განათლება აქვთ.

... სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი, — ამბობს დასასრულ დეპუტატი ბურდული, — შეესაბამება ყველა მშრომელის ინტერესებს. მე ვუერთდები დეპუტატების წინადადებას რესპუბლიკის 1958 წლის სახალხო სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

... ლა დარგის აღმავლობას, კულტურის ახალ აყვავებას. ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის მშრომელები — მუშები, კოლმეურნეები, მშრომელი ინტელიგენცია ძალღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ 1958 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის.

## კურსკის გმირები სტუმრად რედაქციაში



საქართველოში სტუმრად იმყოფება კურსკის გმირების ერთი ჯგუფი. ამ მამაცმა მხედრებმა უვნებელყვეს დიდი სამამულო ომის დროს გერმანელების მიერ დანაღმული რაიონი ქალაქ კურსკში. გუშინ ისინი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას ეწვივნენ. სტუმართა შორის იყვნენ პოლკოვნიკი მ. დიასამიძე, ლეიტენანტი ვ. ივაშენკო, უმცროსი სერჟანტი ი. მახალოვი, რიგითი ჯარისკაცები დ. მარგიშვილი და გ. ურუშაძე, აგრეთვე კურსკის თაბაშირის ქარხნის დირექტორი ს. ვიმენიცი.

მიუხედავად იმისა, რომ კურსკის ამბები საქვეყნოდ ცნობილი გახდა და ამის შესახებ ჩვენს გაზეთშიც გამოქვეყნდა ვრცელი ნარკვევი, ყველას გვაინტერესებდა ერთხელ კიდევ თვითონ მამაცი ადამიანებისაგან მოგვესმინა ამ გმირული ოპერაციის შესახებ.

დიმიტრი მარგიშვილმა გვიამბო: როდესაც კაპიტანმა გორელიუკმა ვითარება გაგვაცნო, გამოგვიცხადა, რომ საქმე ეხება სიკვდილ-სიცოცხლეს და მხოლოდ მსურველები წავლენო ოპერაციის შესასრულებლად, მე და ივანე მახალოვი მაშინვე წამოვდექით, ხოლო იმავე წუთს თითქმის მთელი ნაწილი წამოდგა. ამ დროს ვიღაცამ ხელზე ხელი მომიჭირა. მივიხედე გურამ ურუშაძე ამომდგომოდა გვერდში. გამიკვირდა. გამიკვირდა არა იმიტომ, რომ იგი სხვაზე ნაკლებ გამბედავად მიმაჩნდა — ის უკვე დემობილიზებული იყო, მეორე დღეს საქართველოში უნდა გამომგზავრებულიყო და ბილეთიც ჯიბეში ჰქონდა.

— მსურველი ორმოცდაათ კაცზე მეტი ვიყავით, — მოიგონა გურამ ურუშაძემ, — საჭირო კი მხოლოდ ექვსი იყო. არჩევა ივაშენკოს მიანდეს. გადავხედე ამხანაგებს და უმალ ვიგრძენი ყველანი ერთნაირად ვღელავდით. ვღელავდით არა შიშის გამო; „ჩაგვთვლიან თუ არა ღირსად ასეთი პასუხსაგები საქმე მოგვანდონ“ — აი რა ფიქრი გვაღელვებდა.

მამაცმა მეომრებმა ბევრი საინტერესო ეპიზოდი უამბეს რედაქციის მუშაკებს. შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

• • •

სურათზე: კურსკის გმირები გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში.

## ბრძანებულება
### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### ამხ. ო. დ. გოცირიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ოთარ დავითის-ძე გოცირიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1958 წ. 21 იანვარი.

## „თოვლის ადამიანის“ შესახებ

ოც წელზე მეტია, რაც ევროპის სწავლულთათვის ცნობილი გახდა ლეგენდარული ცნობები, შემონახული ჰიმალაის კალთებზე მცხოვრებთა შორის, თითქოს იქ თოვლისა და ყინულის სამყაროში არის ადამიანის მსგავსი არსება. მათ ჰქონდათ ფოტოდოკუმენტები საოცარი კვალისა, ანუ ნაფეხურებისა, რომლის ირგვლივ საზღვარგარეთული პრესა სენსაციებს ქმნიდა. ჰიმალაებში არსებობს „თოვლის ადამიანი“. ადგილობრივი მცხოვრებლები მათ იეტებს უწოდებდნენ.

„თოვლის ადამიანის“ არსებობის შესახებ ინტერესი თანდათან იზრდებოდა, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც გახშირდა უცხოელ მთამსვლელთა ექსპედიციები ჰიმალაიში მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალების — რვაათასიანების დასაპყრობად. საზღვარგარეთის პრესა და რადიო ამ ექსპედიციის შედეგებთან ერთად „თოვლის ადამიანების“ შესახებაც ბევრს მოგვითხრობდნენ.

„თოვლის ადამიანზე“ ლეგენდები საბჭოთა კავშირის მაღალმთიანეთის — პამირის მცხოვრებთა შორისაც არსებობს. ამ ლეგენდებში მოთხრობილია მთაში ნადირობისა თუ მგზავრობის დროს ადამიანის მსგავს არსებასთან შეხვედრები და შებრძოლებაც კი.

ამას წინათ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნდა ფედჩენკოს ყინვარზე (პამირი) ჰიდროლოგიურ საკვლევ სამუშაოთა ჯგუფის უფროსის ა. პრონინის ნაამბობი. იგი მოგვითხრობს — ჩემი ყურადღება მიიპყრო საოცარმა მოჩვენებამ: სამხრეთ მწვერვალზე თითქოს ვიღაც იდგა... პირველად ვიფიქრე, რომ იმ მცირე მოედანზე დათვი მიდიოდა. შემდეგ დავაკვირდი უფრო ყურადღებით და თვალმოუშორებლად ვუცქეროდი ცოცხალ არსებას. მალე ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ეს არის არა დათვი, არამედ ადამიანის მსგავსი არსება. იგი მიდიოდა ოდნავ მოხრილი, ორ ფეხზე... არსება ტანდაბალი იყო და გრძელი წინაკიდურები ჰქონდა, რაც განსაკუთრებით მეცა თვალში. ჩემს წინაშე ალბათ იყო ე. წ. გალუბ-იავანას, ანუ „თოვლის ადამიანის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი.

ამ საკითხს შეეხო აგრეთვე გაზეთი „იზვესტია“, რომელსაც მოჰყავს ა. პრონინის დამატებითი ცნობები. იგი იმეორებს მის ნანახს, მოგვითხრობს ადგილობრივ მცხოვრებთა ნაამბობს, აღწერს ექსპედიციაში რეზინის ნავის უცნაურ დაკარგვაზე, რომელიც შემდეგ აღმოჩენილ იქნა უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი სადგურის თანამშრომლების მიერ მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით 5 კილომეტრის მანძილზე.

იბადება კითხვა, ხომ არ წაიღო ეს ნავი „თოვლის ადამიანმა“. ამის მსგავსი შემთხვევები შემჩნეული აქვთ ადგილობრივ მცხოვრებლებსაც.

რა შეგვიძლია ვთქვათ ჩვენ, ქართველ მთამსვლელებს, რომლებიც არაერთხელ ვიმყოფებოდით პამირის მაღალმთიანეთში, „თოვლის ადამიანის“ არსებობის შესახებ.

მართალია, პამირში ყოფნისას ჩვენ არ შეგვხვედრია „თოვლის ადამიანი“ და არც მისი არსებობის ნიშნები გვიხილავს, მაგრამ ადგილობრივი გადმოცემებით პამირში ადამიანის მსგავსი უცნაური არსების შესახებ ბევრი გვსმენია.

რაგინდ დამაჯერებელიც არ იყოს ა. პრონინის ნაამბობი „თოვლის ადამიანის“ არსებობის შესახებ, იგი უთუოდ მოითხოვს სპეციალურ ექსპედიციას ამ საკითხის დაბეჯითებით შესწავლისათვის.

**ა. ივანიშვილი,**
საქართველოს ალპური კლუბის დირექტორი.

## რუსთავის მეტალურგებმა წინადადება წამოაყენეს შეიქმნას საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის საზოგადოება

რუსთავი, 21 იანვარი. (საქინფორმი). სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საქარხნო კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე წარმოების მთელ რიგ მუშაკთა ინიციატივით განხილულ იქნა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის საზოგადოების შექმნის საკითხი.

საქარხნო კომიტეტის გაფართოებული სხდომის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის საზოგადოების შექმნა ხელს შეუწყობს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას. საქარხნო კომიტეტის გაფართოებულმა სხდომამ სთხოვა სათანადო ორგანიზაციებს საბჭოთა კავშირში შექმნან საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის საზოგადოება.

## საკდესის ცნობა
### დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის არსებობის შეწყვეტის შესახებ

დაკვირვებისა და ტრაექტორიული გაანგარიშების მონაცემებით გამოირკვა, რომ დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი 4 იანვარს შევიდა ატმოსფეროს მკვრივ ფენებში და შეწყვიტა არსებობა. ატმოსფეროს მკვრივ ფენებში თანამგზავრის შესვლა და მისი დაშლა უშუალოდ რეგისტრებული არ არის. ცნობები, რომლებიც 28 დეკემბრიდან 5 იანვრამდე დიდი რაოდენობით მოდიოდა მნათი სხეულების ფრენისადმი დაკვირვების შესახებ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაწილში, ეკუთვნის ბოლიდებს, რადგან მათი გამოჩენის რაიონები და დრო არ ემთხვევა თანამგზავრის ორბიტის სიბრტყეს.

ამრიგად, დედამიწის პირველმა ხელოვნურმა თანამგზავრმა, რომელიც გაშვებულ იქნა 1957 წლის 4 ოქტომბერს და რომელსაც დედამიწის გარშემო ბრუნვის საწყისი პერიოდი ჰქონდა 96,2 წუთი, ამასთან დედამიწის ზედაპირზე ორბიტის მაქსიმალური სიმაღლე იყო დაახლოებით 950 კილომეტრი, 92 დღე-ღამეს იარსება როგორც კოსმოსურმა სხეულმა. ამ ხნის განმავლობაში პირველმა ხელოვნურმა თანამგზავრმა დაახლოებით 1.400-ჯერ შემოუარა დედამიწას და იფრინა დაახლოებით 60 მილიონი კილომეტრი.

**რედაქტორი პ. რატიანი.**

მოქალაქე გრიგოლ ალექსანდრეს-ძე ზაკოვმა, მცხოვრებმა პავლოვის ქ. № 6, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე მარიამ მოსეს ასულ კისე... ...

ძმა ნიკოლოზ ოჯახით იუწყება ანა გიორგის ასულ ბექაურის გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-I ფასანაურში.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექცია, პარტიული კომიტეტი და ადგილკომი იუწყებიან ამავე ინსტიტუტის სტამბის გამგის იოსებ არსენის-ძე ... ...

მეუღლე ნადია, შვილები ფაცია, ილია, გრიგოლ, ლეონინა, გალაქტიონ, რძლები ნინო, თამარ, თინათინ, სიძე დ. გოგუაძე ოჯახებით იუწყებიან ხევერიანე ვახალის-ძე სტურუას გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-I სოფ. კულაშში (სამტრედიის რ.).

... ნადია ოჯახებით, რძალი რუსუდან, სიძეები დ. კუკულაძე, ვ. კურტანიძე, დ. შავაძე, ნ. ებანოიძე; ლევან მდინარაძე ოჯახით იუწყებიან სადიკო მალხაზის ასულ მინაძე-კაპანაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-I, 4 ს. სოფ. ბოსლევში (ზესტაფონის რ.).

მეუღლე ნინო, შვილები ნანული, ბექარი, მამა გრიგოლ, დედა ნინო, დები თამარ, თინათინ, სიძე გ. ცაგარეიშვილი აუწყებიან ექიმ არჩილ გრიგოლის-ძე უგულავას გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-I, 8 ს. გამოსვენება 23-I, 4 ს. 8 მარტის ქ. № 38.

უე 00619 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.